ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №45 (1555) 14–17 მაისი, 1997 წელი

ციური დადიანიძე (გიგა გელაშვილის დედა):

## ჯაბა არაფერ შუაში არ არის, გიგა რომ ეხლა იქ ზის...

2



„ელიზის“ ადვოკატს უკვე შეაქანა ანუ ძვირფასი მასალა ფსიქიატრებისათვის...

3

უპატრონოდ მიტოვებული გზები და დამალული ავტოინსპექტორები

5

თავისთავად, შევარდნაძის ან ლეკიშვილის ნათესავების ბიზნესში მონაწილეობა, სულაც არ არის კრიმინალი. მთავარია, „ოჯახიშვილობის ფაქტორი“ კლანების მონოპოლიაში, ანუ მაფიოზურ „ოჯახში“ არ გადაიზარდოს.

3

რა უნდა მგლებში ბატკანს? — აცხადებს გიორგაძე ახალგაზრდა ფინანსთა მინისტრის დამტკიცების გამო

4

## ციური დადიანიძე (გიგა გელაშვილის დედა):

# ჯაბა არაფერ შუაში არ არის, გიგა რომ ეხლა იქ ზის...

***რედაქციისაგან:***

*შინაგან საქმეთა მინისტრთან ბატონ კახა თარგამაძესთან საუბარმა, რომელიც გაზეთ „საქართველოში“ იბეჭდება და რომლის ფინალი, სამწუხაროდ, დღევანდელ ნომერში ჩვენი მიზეზით ვერ დაისტამბა (შემოგთავაზებთ ახლო მომავალში), ბევრი დადებითად განაწყო, ბევრსაც, როგორც იტყვიან, ნერვები აუშალა. რედაქციაში გვეწვია ტერაქტში მონაწილის ბრალდებით დაკავებული, მაშველთა კორპუსის ყოფილი თავმჯდომარის გოგა გელაშვილის დედა ქალბატონი ციური დადიანიძე. მისი თქმით, მინისტრთან პრეტენზიები ნაკლებად აქვს, ის მინისტრია და თავის საქმეს აკეთებსო, მაგრამ გეთხოვა მოგვესმინა მისთვისაც. ჟურნალისტები აქეთ მთხოვენ ინტერვიუებს და თქვენ ჩემი ფეხით გეახელით, ჩემი სათქმელი მეც მიმატანინეთ მკითხველთანო. ეს ქალბატონი მართლაც საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა. გთავაზობთ ინტერვიუს მასთან. მძიმე იყო ჩემთვის საუბარი ქალთან, რომლის შვილსაც ძალიან მძიმე ბრალდებები აქვს წაყენებული, მაგრამ ეს საუბარი მაინც შედგა, სხვათაშორის, არცთუ უხალისო...*

*გოგა გელაშვილის დედამ პირდაპირ და მოურიდებლად ასე დაიწყო –*

ბ-ნო ნოდარ, მე არ ვიტყვი, რომ ბევრს ვილევ ჩემს თავზე, მაგრამ თუ საქართველოში ამდენი უნიჭო და უვიცი ჟურნალისტი იყო, არ მეგონა. ვინმე გივი გელაშვილს ასამართლებდნენ და გოგა გელაშვილი დაისაჯაო – გოგაზე წერდნენ. ვიღაცა ააფეთქეს, ვიღაცას რაღაც უბედურება გაუკეთეს, ვიღაცამ რაღაც გასვენებაში თქვა რაღაც ჭორის დონეზე – წერენ, გელაშვილს შევარდნაძის ადგილი უნდოდაო. გოგა გელაშვილს თავისი ადგილი არ უნდოდა – ძალის-ძალით დასვეს მაშველთა კორპუსის თავმჯდომარედ. როგორ? რასთან დაკავშირებით? ამას მოფიქრება ხომ უნდოდა? რა დონის უნიჭობაა, ბატონო ნოდარ – გოგა გელაშვილს შევარდნაძის ადგილი უნდოდა, აი ასეთი შინაარსით იბეჭდება წერილები. გესმით თქვენ...

*– სად, ჩემთან იბეჭდება?*

– არა, არა, თქვენთან არა, მაგრამ საერთოდ...

*– ეს როგორ გავიგოთ, რომ გოგა ძალით დასვეს მაშველთა კორპუსის თავმჯდომარედ?*

– გოგა დაბადებიდან და ბოლომდე ახლაც სადაც არის, ვარჯიშობდა და ვარჯიშობს. ის სპორტსმენია. მას არასოდეს არ აინტერესებდა არც გენერლობა, არც გორგასლის ორდენი, არც თანამდებობა. ბორჯომში გამგებლად რომ ნიშნავდნენ, უარი თქვა. ამბობდა – მე ვარ სპორტსმენი კაცი, მოძრავი, მოქმედი, მეომარი. ის ომის დროს გახდა მხედრიონელი, არცერთ პარტიაში გოგა არასოდეს ყოფილა, მათ შორის, არც მხედრიონში. ომი რომ დაიწყო, მაშინ წავიდა ომში მოხალისედ, რადგან დიდი ავტორიტეტი ჰქონდა თავის მეგობრებში. მეგობრებიც გაყვნენ და დანიშნეს თავის მეთაურად. აი მათ დაერქვათ ბორჯომის მხედრიონი, რადგან გოგა ჯაბასთან მივიდა თავისი რაზმით. რატომღაც ჯაბასთან მივიდა, ალბათ, იმიტომ, რომ ყმაწვილების, მოზარდი თაობის შეგნებაში, ის მხედრიონი და ბ-ნი ჯაბა ასოცირდებოდნენ ვაჟკაცობის, კაი-კაცობის და შემართების ხატად. ახლა რომ ბატონ ჯაბას ხატავენ ქურდების, „პაცნებისა“ და მორფინისტების ხატად, მაშინ არ იყო ეს ასე. აი, ამაშია საქმე...

*– თქვენ კმაყოფილი ხართ იმ ფაქტით, რომ თქვენი შვილი ბ-ნ ჯაბას დაუკავშირდა? აი, მთელი ეს პროცესები და უბედურებები, რაც თქვენს ოჯახს დაატყდა შვილის დაჭერით, ამას თქვენ ჯ.იოსელიანთან აკავშირებთ თუ არა?*

– არავითარ შემთხვევაში, იცით რატომ? მე მორწმუნე ქალი გახლავართ და მტკიცედ მწამს, რომ „არა საქმე არ იქნების, რაცა ღმერთსა არა სწადდეს“. სხვა რამეში არ ჩამომართვათ, რადგან ხელოვანი გახლავართ და ცოტა არტისტულად გამომივიდა. მე ამას სრული გულწრფელობით გეუბნებით: ჯაბა არაფერ შუაში არ არის, რომ გოგა გელაშვილი ეხლა იქ ზის. ეს არც პოლიტიკური თამაშია. მე პოლიტიკოსი არ გახლავართ, ამდენად არც მაქვს უფლება პოლიტიკაზე ვილაპარაკო, მით უმეტეს, არც გოგა არ არის პოლიტიკოსი. აი, ჯაბა შეიძლება არის პოლიტიკური თამაშის მსხვერპლი... დავუშვათ, თუმცა მაინც არ ვაძლევ ჩემს თავს ასეთი დასკვნების გამოტანის უფლებას. რაც შეეხება გოგას, გოგა თვითონ იმდენად დამოუკიდებელი პიროვნებაა, რომ ჯაბასთან კი არა, ვისთანაც გინდა ყოფილიყო, თვითონ რაც არ უნდოდა, არ გააკეთებდა, ესე იგი ჯაბაზე არ არის დამოკიდებული, გოგა რატომ ზის იქ...

*– რომელი წლიდან იცნობენ ერთმანეთს გოგა და ჯაბა?*

– ომის დაწყებამდე არ იცნობდნენ ერთმანეთს. ომი რომ დაიწყო, გოგა ირჩევდა – გვარდიაში წასულიყო, უშიშროებაში თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით. მერე მეგობრებმა ერთად გადაწყვიტეს, მოდი, ჯაბასთან წავიდეთო. გოგა მაშინვე აირჩიეს მეთაურად, იმიტომ რომ გოგა საბავშვო ბაღიდან ავტორიტეტია თავის წრეში. ჩემი შვილი რომ არის, ამიტომ არ ვამბობ ამას. იგი მართლა ასეთი პიროვნებაა. შევარდნაძემ რომ თქვა, რომ ალტაცებული იყო მისი ვაჟკაცობით, ომში მისი წესიერებითა და კარგი კაცობით, ბ-ნ შევარდნაძეს არაფერი არ შეშლია, გოგა ნამდვილად ასეთია და ჩემი, როგორც გოგას დედის პოზიცია ასეთია – გოგა არც ჯაბასთან და არც პოლიტიკასთან კავშირს არ შეეწირვია. გოგა შურიანობის მსხვერპლი გახლავთ.

წავიდა თუ არა ომში, მაშინვე გორგასლის ორდენით დააჯილდოვეს, არ გასულა რამდენიმე თვე და გენერლობა მისცეს. სხვათაშორის, გენერლობაც არ უნდოდა გოგას, მე გენერლობისთვის არ წავსულვარ ომშიო და რომ ვუთხარი – შვილო, ვამაყობ გორგასლის ორდენი რომ მოგანიჭეს-მეთქი, თქვენ არ იცით, როგორ გაბრაზდა და როგორ იჩხუბა. მაგის გულისთვის ხომ არ წავედიო... გოგა ვერ იტანს უსამართლობას.

*– გოგა რომ ომში ვაჟკაცურად იბრძოდა, ალბათ, ყველა აღიარებს, ვინც აფხაზეთში იყო და ვისაც უნახავს იქ მისი ბრძოლები, ასე რომ, მე გეთანხმებით ამაში. რა განათლება ჰქონდა გოგას, რა დაამთავრა და სად იზრდებოდა?*

– ბებიების და ბაბუების გაზრდილია, რადგან მე ხელოვანი ქალი ვარ და მთელი ცხოვრება გასტროლებზე დავდიოდი, ქართული ფოლკლორის პროპაგანდას შევწირე შეგნებული ცხოვრება, თქვენ წარმოიდგინეთ, გიგასავით მეც არავითარი ტიტული არ გამაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ვისაც ჩემი ცეკვა უნახავს – სულ მინიმუმ საქართველოს სახალხო არტისტის წოდება მაინც უნდა მქონდეს. მაგრამ არასოდეს მქონია იმის კომპლექსი, რომ რაღაცა მიმელო. ჩემი შვილი ამაში აბსოლუტურად მე მგავს. არ მაწუხებდა ტიტულებისკენ სწრაფვა, ჩემთვის ვაკეთებდი ჩემს საქმეს. აი, ჩემი ასეთი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, გოგა ბებიების და ბაბუების გაზრდილია. მის აღზრდაში როგორც ჩემი, ასევე ჩემი მეუღლის მშობლები იღებდნენ მონაწილეობას. ჩემი მშობლები საკმაოდ ცნობილი მათემატიკოსები გახლდნენ, ასევე პედაგოგი გახლდათ ჩემი დედამთილი, მამამთილი კი მეტყევე იყო. თქვენ წარმოიდგინეთ ახლა, პედაგოგების ოჯახში გოგა რა გაიზრდებოდა. ჩემი შვილი გაზრდილია „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმზე „სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია“. გოგა დაიბადა და ბავშვობა გაატარა თბილისში, სკოლაში კი მეშვიდე კლასამდე გორში სწავლობდა, მე-7 კლასიდან ისევ თბილისში გადმოვიყვანეთ – საერთოდ სპორტული ბავშვი იყო. რაც ფეხი აიდგა, ფეხბურთს თამაშობდა. თვითონ მოინდომა საფეხბურთო სკოლაში შესვლა, იქ კი მთელი სასწავლებლის მაგალითი იყო ყველაფერში. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. საოცრად უყვარდა სპორტი. სახლში ჭაღის მაგივრად „გრუშა“ უნდა დავკიდოო. არ არსებობს სპორტული იარაღი, სახლში რომ არა გვქონდეს. ვეუბნებოდი, შენ რომ სპორტს გაყვე, ჩემპიონი იქნები-მეთქი. არ მინდა მე ჩემპიონობა – ჩემთვის ვვარჯიშობო. რეგბიზე იარა და ყველა გაოცებული იყო – ასეთი რაგბისტი საქართველოს არ ყოლია, მოტოციკლეტს ცალ თეალზე ატარებდა. მიუხედავად იმისა, რომ ძილი ძალიან უყვარდა, შვიდ საათზე უკვე ბასეინზე იყო ხოლმე. აი, ასეთი სპორტის მოყვარულია ის. არასოდეს მას პოლიტიკური მოღვაწეობა, გენერლობა, კაბინეტი, შევარდნაძის ადგილი ან მოადგილეობა არ, ჰქონია მიზნად.

*– მადლობა ღმერთს!..*

– დიახ, დიახ. სხვათაშორის, რუსის ჯარში გოგა მოხალისედ წავიდა. იცით თუ არა ეს თქვენ? ჯერ კიდევ 18 წლისაც არ იყო, გაოცებულნი დავრჩით მისი ამ საქციელით, იმიტომ, რომ ჩვენ ყოველთვის მოვახერხებდით მის ჯარიდან დახსნას და იცით? იქიდან სულ მადლობის წერილები მოგვდიოდა მისი მეთაურებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს სცემდა იქ ბიჭებს. იქაც მეთაური იყო და ვეუბნებოდი: შვილო, შენი კეთილი გულის ამბავი რომ ვიცი, რატომ სცემ შენს ტოლ ბიჭებს, ხომ ვიცი, როგორი მოსიყვარულე ხარ-მეთქი. რა მითხრა იცით? რუსებს თუ არ სცემე, თავზე დაგაჯდებიანო. ახლა რომ სწერთ სისულელეებს გოგაზე – პირდაპირ მიკვირს, როგორ ვუძლებ, ცოცხალი როგორა ვარ – ცემაში ხალხი შემოაკვდაო. ეს არის აბსურდი, გოგას არავინ შემოკვდომია, ეს მონაჭორია და ამის მთქმელს ღმერთი არ აპატიებს ასეთ დიდ ცოდვას. თუ თვითონ მოკლა ვინმე, სხვას რატომ დაავალებდა დამარხვას? თვითონ ვერ ჩაფლავდა? თუ კაცის მოკვლა მოახერხა, ამდენს ველარ მოიფიქრებდა? თქვენ არ იცნობთ გოგას ბ-ნო ნოდარ და მე ნუ გამიგებთ, თითქოს დედა რომ ვარ ის მალაპარაკებს, არა, ჩათვალეთ, რომ თქვენ გელაპარაკებათ ადამიანი, რომელიც თავიდან ბოლომდე იცნობს მას.

*– დღემდე თუ იყო ნასამართლევი გოგა?*

– არა, მე საერთოდ არ მქონია ურთიერთობა ნასამართლევ ხალხთან, ნაცნობიც კი არა მყავს ასეთი და არც გოგას არ უნდა ჰყავდეს ასეთი ახლა, თუკი ბავშვობაში ჰქონდა ურთიერთობა ვინმესთან – შესაძლებელია. იმიტომ, რომ გიგას ქურდებთანაც ჰქონია საქმე ბავშვობიდან. ვაკეში ვცხოვრობდით ჩვენ და ვაკე, მოგეხსენებათ, სავსეა ქურდებით და მორფინისტებით, მაგრამ გოგა ყოველთვის მაგალითი იყო თავისი ამხანაგებისათვის. იგი თავის ტოლებს გზაზე აყენებდა. გოგა არცა სვამს და არც ეწევა. იმიტომ გამიკვირდა, რომ წავიკითხე, გულუას ჭიქას უჭახუნებდაო, ჩვენი მინისტრი რომ წერს და ორი დღის შემდეგ მოაკვლევინაო. ეტყობა, რომ ჩვენი მინისტრი ვერ იცნობს გოგას. გოგა არ უჭახუნებს ჭიქებს იმიტომ, რომ არ სვამს. მისი მეგობრები ამბობენ ხოლმე – ჩვენ ვსვამთ, ვქეიფობთ და გოგა ლიმონათით იჭყიპებაო.

*– მინისტრი წერდა, რომ ხილზე შამპანური შესვესო. ხომ შეიძლება ერთი ჭიქა დაელია? ან რა მნიშვნელობა აქვს, დალია თუ არა, მინისტრი ხაზს იმას უსვამს, რომ კაცის მოკვლა ედო გულში და იმ კაცს სამი დღის წინ ჭიქას უჭახუნებდაო.*

– არ არსებობს, ასეთი სულელური რაღაცეების გამო, რომ გამწარებული ვარ. გოგასთვის ოთხ კედელს შორის ყოფნა სიკვდილია. ვერ წარმომიდგენია რა დღეშია ახლა იგი. იქ ალბათ, კედლებზე დარბის. ჩვენი მინისტრი კი მინისტრია და თავისას ცდილობს – აი, ნახეთ რა ყოჩაღი ვინმე ვარ, გოგა გელაშვილმა წინააღმდეგობა გამიწია, პარიკი ჰქონდა, საზღვარგარეთ გარბოდა და მე ისე გავაკეთე, რომ დავიჭირეო.

გოგა გელაშვილს რომ გაქცევა სდომებოდა, ვერავინ ვერ დაიჭერდა. მას შემდეგ, რაც დაიწყო მხედრიონის დევნა, მხედრიონელი ბიჭების მანქანებში ჩახოცვა, მითხარით, – ერთი ადამიანი მაინც თუ არის [illegible] ტერორისტული აქტი და ერთი თქვენ მე გამაგებინეთ, რა დააშავა, ეის რა დაუშავა და რატომ დასდევდნენ როგორც ცოფიან ძაღლს მოსაკლავად.

*– რომელ პერიოდში დასდევდნენ?*

– როგორც კი გენერალი გახდა და შევარდნაძემ თქვა, შვილივით მიყვარსო. აი, ამიტომ ვამბობ, რომ გოგა პოლიტიკის მსხვერპლი არ არის, იგი არის შურიანობის მსხვერპლი. შეშურდათ ბატონო – არიქა გელაშვილი შევარდნაძის გვერდზე არ დაჯდესო.

*– გოგა გელაშვილს ძალიან დიდი ძალაუფლება ჰქონდა და მის წინააღმდეგ ბრძოლა ადვილი არ იყო. ამიტომ გეკითხებით, რომელ პერიოდში უწყობდნენ ამ ტერორისტულ აქტებს. გოგა ხომ საკმაოდ ძლიერი ორგანიზაციის თავკაცი იყო?*

– და არასოდეს სარგებლობდა ამით. გოგას რომ თავისი მდგომარეობით ესარგებლა, მე დღეს სახლგაყიდული, გაძარცვული, დაყაჩაღებული და უწყლო, უონკანო ოთახში მაცხოვრებელი არ ვიქნებოდი. გოგა არსებობდა მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ გაჭირვებულებს დახმარებოდა, უსაქმურები დაესაქმებინა. მორფინისტებისათვის წამალზე უარი ეთქმევინებინა. ყველას ავარჯიშებდა. მორფინისტებსაც ეუბნებოდა: ივარჯიშეთ და ვარჯიშით გადაიტანეთ თქვენი მდგომარეობაო. იგი მაკარენკოს როლში იყო. მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ ბ-ნო ნოდარ, შურიანობის ნიადაგზე გაუკეთეს ეს ყველაფერი მას. ცოდვას ვერ დავიდებ, რაიმე ცუდი ვთქვა შევარდნაძეზე, რომ ვთქვა, ვიღაცას კიდევაც შეიძლება გაუხარდეს ეს, მაგრამ შევარდნაძეს მართლაც შვილივით უყვარდა გოგა და მე ვფიქრობ, შევარდნაძის მტრები დასდევდნენ მას. საქართველო ოდითგანვე ცნობილია შალიმან ბარათაშვილებით, რომელნიც ვერ იტანდნენ ვიღაცის წამოტივტივებას. იყოს ყველასი პირველობა, ბატონო, არ ჰქონია ამის პრეტენზია გოგას. მას ნახევარ ფეხზე დგომა არ შეეძლო. რაც მთელი ცხოვრება ივარჯიშა – ომში გამოიყენა. იმიტომ კი არ ვაკეთებ ამას ყველაფერს, რომ შევარდნაძეს მოვეწონო და შემართებით შემაქოსო. არა, გოგას სხვანაირად არ შეუძლია, ის ეგეთია – რასაც აკეთებს, მთელი სულითა და გულით იმაშია.

*– დედას რომ შვილი უყვარს, ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ შევარდნაძის მტრებმა თუ დაიჭირეს გოგა, ეგ არ ვიცოდით... თქვენ სულ არ გეპარებათ ეჭვი, რომ შეიძლება მის მიმართ ბრალდებები მთლად მოგონილი არ არის?*

*ქ-ნ ციური, დაკავებულის მშობელთან საუბარი, დამეთანხმებით, რომ ძალიან ძნელია გასაგები მიზეზების გამო, მაგრამ მე რომ არ გკითხოთ, მკითხველს დაებადება, ბუნებრივია, ასეთი კითხვა – ფაქტია, რომ მართლაც უამრავი ტერორისტული აქტი მოხდა საქართველოში, უამრავი ხალხი დაიხოცა, ფაქტია, რომ ცნობილი პიროვნებების გარდა უბრალო ადამიანები კვდებოდნენ, ხალხი გარეთ ვერ გამოდიოდა, ხომ არაფერს არ ვაჭარბებ, ხომ იყო ეს ყველაფერი ასე...*

– ის პერიოდი იყო, ომიც იყო აფხაზეთში. პერიოდი იყო ესეთი...

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ელიზის“ ადვოკატს უკვე შეაქანა ანუ ძვირფასი მასალა ფსიქიატრებისათვის...

*ამას წინათ მოგახსენებდით, რომ ქართლოს ღარიბაშვილისაგან ახალ კურიოზებს ელოდეთო. პატივცემულმა ადვოკატმა, ვისაც პოლიტიკური წრეები ესენგოსას თიკუნით იცნობენ, დიდხანს არ გვალოდინა და პირველივე გამოსვლებით დაიწყო არნახული „მარგალიტების ფრქვევა“...*

საზოგადოებრიობა ბუნებრივია ინტერესს იჩენს ყველა მოვლენის მიმართ, რომელიც უჩვეულობისა თუ შედეგების მიხედვით გავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრებაზე.

ჩვენი ყოფისათვის უჩვეულო უნდა იყოს ის, რომ ერთი ფირმა კონკურენტის ჩამოშორების მიზნით რეგულარული ყაჩაღობის გზას დაადგეს.

ასეთი კრიმინალების მიმართ სამართალდამცავი ორგანოების დამოკიდებულება – ბანდიტური ჯგუფის საბოლოო გამოაშკარავება ან ხელის დაფარება, რაღა თქმა უნდა, გავლენას მოახდენს უკუღმართობათა აღსაკვეთად თუ დაუსჯელობის სინდრომის გასაღვივებლად.

მხედველობაში გვაქვს ყველასათვის ცნობილი ფაქტი, რაც წინასწარი გამოძიებითაა ცნობილი საზოგადოებისათვის – ფირმა „ელიზის“ ხელმძღვანელების მიერ შექმნილი ბანდიტური ჯგუფის საქმიანობისა, რომელმაც ორჯერ: 1996 წლის სექტემბერსა და 1997 წლის მარტში გაძარცვა ფირმა „ომეგა“.

წინასწარი გამოძიების მიხედვით ხელმძღვანელთაგან ჯერჯერობით მხოლოდ ერთია დაკავებული, ფირმის პრეზიდენტი თამაზ ელიზბარაშვილი. სხვათა გამომჟღავნება სამართალდამცავი ორგანოების საქმეა და თვითონ მიხედავენ. აქ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ გარეთ დარჩენილნი ყოველნაირად ცდილობენ საქმის ჩაფარცხვას და რაკიღა ბანდიტურმა თავდასხმებმა არ გაუმართლათ, მოსყიდული ჟურნალისტების (პრესისა თუ ტელე) მეშვეობით დაძრეს ცილისწამების ნიაღვარი ფირმა „ომეგას“ წინააღმდეგ.

კი მაგრამ, „ომეგას“ რომ გალანძღავ, ამით ბანდიტური თავდასხმები გაუჩინარდება?

თუ ადვოკატ ქართლოს ღარიბაშვილს მოვუსმენთ, იმის მტკიცებასაც მოჰყვება, ეს ინციდენტი არ ყოფილაო, მანქანის ბორბლებში იყო ტყვიები, ეს არის და ესო... სწორედ ასე განაცხადა რუსთავი–2–ის პროგრამა „კურიერის“ 10 მაისის ტენდენციურ გადაცემაში. იმის დაზუსტება კი „დაავიწყდა“, ბორბლებს რომ ესროლეს, მერე რა მოხდა. მერე ის მოხდა, რომ პირველი თავდასხმის მსგავსი სცენარით, ავტომატიანი ბანდის წევრები შემოერტყნენ ბორბლებდაშვებულ მანქანებში მსხდომთ, იარაღის მუქარითა და უწმაწური ლანძღვა–გინებით გაიტაცეს თანხა და წინასწარი შეთანხმების მიხედვით გაიყვეს ერთმანეთში და სხვებსაც თავთავისი წილი მისცეს.

ბანდის თითქმის ყველა წევრი და



ორგანიზატორი გამოაშკარავებულია და საქმე გადაცემულია პროკურატურაში.

ეს ყველაფერი არ მომხდარა?

როცა გავიგეთ, რომ ყაჩაღობის გამო დაკავებულთა დაცვას ქართლოს ღარიბაშვილმა მოჰკიდა ხელიო, გაზეთმა „საქართველომ“ გამოხატა თავისი აზრი ამ ადვოკატის მიმართ „ელოდეთ მისგან ახალ კურიოზებსო“.

კურიოზებს ბევრს ველოდით, სხვებზე სხვა დროს ვისაუბრებთ, მაგრამ ასეთი განცხადებები კურიოზის ფარგლებს შორს სცილდება და ავადმყოფური ფანტაზიისა და ჩაჯიბული გასამრჯელოს შედეგს ჰგავს.

**ნინო თალაკვაძე**

---

**თავისთავად, შევარდნაძის ან ლეკიშვილის ნათესავების ბიზნესში მონაწილეობა, სულაც არ არის კრიმინალი. მთავარია, „ოჯახიშვილობის ფაქტორი“ კლანების მონოპოლიაში, ანუ მაფიოზურ „ოჯახში“ არ გადაიზარდოს.**

# კორუფციის ფორმულა

ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველოში თოფიანი კაცების ზეობის ჟამი იდგა, ბევრს ლაპარაკობდნენ ქართული ბიზნესის პერსპექტივებზე. „მაქსიმალური ხელშეწყობა ბიზნესს“, „განსაკუთრებული ყურადღება ეროვნული ბიზნესის განვითარებას“, ისმოდა ხოლმე მაღალ-მაღალი ტრიბუნებიდან. თუმცა, იქვე შენიშნავდნენ, რომ სანამ ყაჩაღების თარეში არ აღიკვეთება, მანამ არაფრის იმედი არ უნდა გვქონდეს. ედუარდ შევარდნაძესაც არაერთხელ დაუჩივლია: საკმარისია ვინმემ საქმე წამოიწყოს, რეკეტიორები წურბელებივით დაასხდებიან და სისხლს გამოწოვენო. მაგრამ გამოხდა ხანი, მდგომარეობა დასტაბილდა, ბიზნესის აყვავებას კი არა და არ ადგება საშველი. თოფიან წურბელებს წარმატებით ჩაენაცვლნენ ადმინისტრაციულ–მაკონტროლებელი ორგანოები და თუ ადრე №1 ბუა მხედრიონი იყო, ახლა ეს საპატიო ადგილი ოფიციალურად დაიკავა კორუფციამ. ჯვაროსნული ლაშქრობა კორუფციის წინააღმდეგ, ასე ზარ–ზეიმით რომ გამოაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, სკეპტიკოსებმა იმთავითვე განწირულად მიიჩნიეს. ადრე მარტივად იდგა საქმე: დაიჭირე ერთი, დაიჭირე მეორე და მორჩა – არ არის კაცი, არ არის პრობლემა. მოკლედ, მხედრიონი კონკრეტული ბუა იყო, კორუფცია კი „აბსტრაქტული“ ბუაა. თანაც, ძველი ნაცნობი: მრავალნაცად პოსტსაბჭოელს ჩინოვნიკის მექრთამეობით რას გააკვირვებ? სენსაციად ის ითვლება, თუკი ჩინოსანი მოხელე ქრთამს არ იღებს და არავის წილში არ უზის. საერთოდ, კორუფციას ეროვნება არა აქვს და ყველა ქვეყანაში არსებობს, მაგრამ როცა მას ყოვლისმომცველი ხასიათი აქვს, ეს ნიშნავს, რომ სათავე ყოვლისა უბედობისა თვით სისტემაა. აქ ცალკეული ფიგურების მოხსნა–დანიშვნა–გადაადგილებით ფონს ვერ გახვალ, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება – კაცნი წავლენ და წამოვლენ, კორუფცია დარჩება.

## მოქმედი პირნი და შემსრულებლები

მაინც, რა სისტემაა ასეთი და რატომ იქცა კორუფცია ლამის დაუძლეველ სენად? ამასწინანდელ ტელეინტერვიუში, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ზურაბ ჟვანიამ პირდაპირ განაცხადა: „საქართველოს დღეს კლანები მართავენ“. მართალია, მას არ დაუზუსტებია „ვისი გორისაა“ ეს კლანები, მაგრამ რომ დაინახო, რა ხდება, დიდი ექსპერტობა სულაც არაა საჭირო. კერძოდ, აშკარაა კაპიტალის კონცენტრაცია რამდენიმე მსხვილი ფირმის მიერ, რაც ძირითადად „ზეგარდმო“ მფარველობითაა გაპირობებული. აბსოლუტურად ყველა გავლენიანი კომპანია, შპს თუ სააქციო საზოგადოება ან უშუალოდ სახელისუფლო სტრუქტურების მიერაა დაფუძნებული, ან დამფუძნებელთა შორის აუცილებლად ფიგურირებს რომელიმე მაღალჩინოსანის ოჯახის წევრი. ამ მხრივ ყველაზე გამორჩეული ადგილი თითქოს სახელმწიფო მინისტრს, ნიკო ლეკიშვილს უჭირავს. ყოველ შემთხვევაში, სხვებისგან განსხვავებით მას ბოლო დრომდე არც დაუმალავს, რომ ეთქვათ, „კოკა–კოლა კავკასიონიდან“ წილი ერგება. მართალია, უკანასკნელ ხანს სახელმწიფო მინისტრი ოფიციალურად გაემიჯნა ბიზნესს, მაგრამ როცა მაღალი თანამდებობის პირი აცხადებს: მავანი კომპანიის მფლობელი თუ აქციონერი მე კი არა, ჩემი ცოლი (ან ძმა, და ბიძაშვილი, მამიდაშვილი და მისთ.) არისო, თუნდაც ცამდე მართალიც იყოს, მაინც არავინ დაუჯერებს. ეს ეხება არამარტო სახელმწიფო მინისტრს. ამ პოსტზე სხვა პიროვნება რომ იჯდეს, საერთო მდგომარეობა მაინც იგივე იქნებოდა. წარმოვიდგინოთ საათის მექანიზმზე აწყობილი ბომბი, სადაც საათი მრავალი ფერადი ზონარითაა შეერთებული დეტონატორთან. ლოგიკის მიხედვით ერთ–ერთი ზონარის გადაჭრამ საათი უნდა გააჩეროს, მაგრამ რანაირადაც არ უნდა გამოითვალო, ყველა მცდელობა ამაოა. ზონარებს ჭრი – საათი არ ჩერდება. ბოლოს მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ აქ რაღაც ფარული მექანიზმია, იწყებ მის ძიებას, თითქოს პოულობ კიდეც, მაგრამ საშველი არ არის. ნიკო ლეკიშვილის ფიგურა სწორედ ერთ–ერთ ამ ფერად ზონარს წააგავს, ყველაზე მსხვილი რომაა და კარგად რომ ჩანს, ზონარს, რომლის გადაჭრაც საათს არ გააჩერებს. იგივე შეიძლება ითქვას „შევარდნაძეების კლანზე“, რის შესახებაც უკვე არამარტო განაწყენებული ექსფავორიტები ლაპარაკობენ.

თავისთავად, შევარდნაძის ან ლეკიშვილის ნათესავების ბიზნესში მონაწილეობა, რასაკვირველია, სულაც არ არის კრიმინალი. ფორმებს და მეთოდებს გააჩნია, თორემ მსგავსი რამ ყველგან ხდება და „სანათესაო ავტორიტეტის“ გამოყენებაც ჩვეულებრივი ამბავია. მთავარია, „ოჯახიშვილობის ფაქტორი“

გაგრძელება მე–8 გვ.

---

## პარლამენტმა რატიფიცირება მოახდინა

გუშინ საქართველოს პარლამენტმა „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ“ ხელშეკრულების საფლანგო შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა, რომელიც 15 მაისიდან შედის ძალაში. საფლანგო დოკუმენტი ევროპის ქვეყნების ლიდერებმა 1996 წლის 31 მაისს მიიღეს ვენაში. დღეს პარლამენტმა ამ დოკუმენტის რატიფიკაციასთან დაკავშირებით განცხადება მიიღო. განცხადებაში ნათქვამია, რომ, მთლიანობაში, პარლამენტი ადასტურებს თავის დადებით დამოკიდებულებას ამ დოკუმენტისადმი, მაგრამ მიიჩნევს, რომ 1997 წლის 15 მაისი არ უნდა იქცეს საფლანგო შეიარაღებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღედ, რადგან იგი ყველა სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს. გარდა ამისა, ძალაში რჩება 1992 წლის 15 მაისის ტაშკენტის შეთანხმების ყველა პროცედურა. გადაუდებელ რეაგირებას მოითხოვს უკონტროლო შეიარაღების საკითხი – ე.წ. „თეთრი ლაქები“. (ბი ჯი აი)

## კომუნისტები პანტელეიმონ გიორგაძის დასაცავად აღსდგნენ

გუშინ დაკითხეს საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი პანტელეიმონ გიორგაძე. მის დამკითხავ საქართველოს პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების გამომძიებელ გიორგი გოგლიძეს აინტერესებდა იგორ გიორგაძის ინტერვიუ, რომელიც საინფორმაციო სააგენტო BGI-მ გაავრცელა. დღესვე სააგენტო BGI-ს მიაწოდეს სსრკ–ს ხალხთა კომიტეტის ხელმძღვანელების შეინის, ლიგაჩოვის და კოპიშევის მიერ ედუარდ შევარდნაძის სახელზე გამოგზავნილი წერილი. ისინი სთხოვენ საქართველოს პრეზიდენტს, რომ პანტელეიმონ გიორგაძე „ნამეტნავად მონდომებული ჩინოვნიკების“ დევნისაგან დაიფაროს.

## აფხაზეთის საკითხს მომავალ კვირას განიხილავენ

მომავალ სასესიო კვირას საქართველოს პარლამენტი აფხაზეთის საკითხს განიხილავს. ეს გადაწყვეტილება, ოპოზიციური პარტია „სახალხოს“ მოთხოვნით, პარლამენტის დღევანდელ სხდომაზე მიიღეს. საპარლამენტო ფრაქცია „სახალხოს“ თავმჯდომარის მამუკა გიორგაძის თქმით, სამ აპრილს საკითხის ბოლო განხილვის შემდეგ თვეზე მეტი გავიდა და მას აუცილებლად უნდა მიუბრუნდნენ, რადგან ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა თავად პარლამენტმა. (ბი ჯი აი)

## შესაძლოა რუსეთის ჯარების კვალდაკვალ საქართველო დღევანდელმა ხელისუფლებამაც დატოვოს?

ემიგრანტული ლტოლვილთა ყრილობის ჩატარებას არავითარი აზრი არ აქვს – განაცხადა პრეს–კონფერენციაზე საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრმა ავთანდილ დავითაიამ. მისი თქმით, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ჯერ მზად არ არის აფხაზეთის პრობლემის გადასაწყვეტად, ხოლო ლტოლვილებმა საკუთარი პოზიცია 21 მარტს გამართულ მიტინგზე გამოხატეს. დავითაიამ აღნიშნა, რომ უნდა აიძულო საქართველოს ხელისუფლება გაიყვანოს რუსეთის ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან და მოახდინოს ქვეყნის სრული დეოკუპაცია. „თუ საქართველოს ხელისუფლებას იმის ეშინია, რომ რუსეთის ჯარებთან ერთად ქვეყანას ისინიც დატოვებენ – ეს მათი პრობლემაა“, – აღნიშნა დავითაიამ. (ბი ჯი აი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საუბარი დახურულ კარს მიღმა

გუშინ კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში დახურულ კარს მიღმა გაიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზ.ჟვანიასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილიმეჯლისის თავმჯდომარის მურთაზ ალესკეროვის შეხვედრა.

საუბრის დამთავრებისთანავე, მ.ალესკეროვმა ჟურნალისტებთან სახელდახელო საუბარში განაცხადა, რომ აზერბაიჯანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან სტრატეგიულ თანამშრომლობას და ამ ვიზიტის განმავლობაში მხარეები შეეცდებიან ბაქოში, ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმებების საპარლამენტო დონეზე განმტკიცებას. (იფრინდა)

## დაინტერესდა ჯაბა იოსელიანის საქმით

გუშინ რესპუბლიკის პროკურორი ჯ.ბაბილაშვილი შეხვდა გერმანიის ელჩს საქართველოში ნორბერტ ბაასს. როგორც სტუმარმა აღნიშნა, გერმანია მზად არის მხარში დაუდგეს საქართველოს დემოკრატიული, სამართლებრივი ქვეყნის მშენებლობის გზაზე, ასევე ევროპული ტიპის სასამართლო სისტემის შექმნაში. ჯ.ბაბილაშვილმა განსაკუთრებით აღნიშნა გერმანელი სწავლული იურისტების როლი საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსისა და სხვა ნორმატიული აქტების შემუშავებაში. მან ისაუბრა ქვეყანაში მიმდინარე სასამართლო რეფორმებზე, სამართალდამცავ ორგანოებში ფუნქციათა გამიჯვნასა და პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებზე. სტუმარმა ყურადღება მიაქცია იმ ბარიერებს, რასაც გერმანელი ინვესტორები აწყდებიან საქართველოში ჩამოსვლისა და საქმიანობის დაწყების მომენტში. იგი დაინტერესდა ჯაბა იოსელიანისა და სხვათა საქმის გამოძიების მიმდინარეობით. (იფრინდა)

## დააკავეს უცხოელი მოქალაქეები

12 მაისს, სამინისტროს კონტრდაზვერვის სამმართველოს თანამშრომლებმა, თბილისში, გრიშაშვილის ქუჩის ერთ-ერთ სახლში დააკავეს ხუთი უცხოელი მოქალაქე, რომელთაც დაკავებისას ჩამოართვეს ყალბი დოკუმენტების დასამზადებელი მოწყობილობები, სხვადასხვა ქვეყნის შეუვსებელი ვიზები, ყალბი შტამპები და ბეჭდები. თითოეულ მათგანს აღმოაჩნდა რამდენიმე ქვეყნის სხვადასხვა სახელზე გაცემული პასპორტები.

როგორც ინფორმაციაშია ნათქვამი, ხშირია შემთხვევები, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქეები ცდილობენ საქართველოს ტერიტორიის ევროპაში არალეგალურად გამგზავრების სატრანზიტო დერეფნად გამოყენებას, რასაც გარკვეულწილად ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ქვეყნის საზღვრები ფაქტიურად გამჭვირვალეა. უცხოელები გარკვეული საფასურის გადახდით, იოლად აღწევენ სხვადასხვა ქვეყნების ვიზების მოპოვებას და პასპორტებში შესაბამისი აღნიშვნების გაკეთებას. (იფრინდა)

# უსწავლელთა თარეში სახელმწიფოს საჭესთან

## ფედერალიზაციის გეგმა ანტიმეცნიერულია, ფედერალიზაციის გეგმა ანტიქართულია

ნოდარ ნათაძე

როგორც უკვე ითქვა, ადგილობრივი მმართველობა მისი ყველა მასშტაბით (ფედერაციის სუბიექტის დონის ჩათვლით) და მისი ოპტიმალური მოწყობა (თვით სამართავი რეგიონის ზომის და განლაგების ოპტიმალური განსაზღვრის ჩათვლით) ტექნიკურ ამოცანად რჩება მხოლოდ მანამდე, სანამ იგულისხმება ფუნდამენტურ ინტერესთა იგივეობა რეგიონის მოსახლეობასა და მთლიანად სახელმწიფოს მოსახლეობას შორის. აქ – და სწორედ აქ – შემოდის განხილვაში მმართველის და მოსახლეობის თვითიდენტიფიკაციის ფაქტორი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. თუ თვითიდენტიფიკაცია ძირეულად ერთია, მაშინ ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ამოცანა მართლაც წყდება იმის მიხედვით, თუ რამდენ სულ მოსახლეობაზე უნდა მოდიოდეს ერთი პროკურატურა ან საავადმყოფო, რა მანძილზე შეიძლება იყოს რეგიონის მმართველის რეზიდენცია უშორესი სოფლისაგან და ა.შ. ასეთ იდეალურ ვითარებაში უპრობლემოდ დაიძლევა რეალურ ინტერესთა სხვაობა, ვთქვათ, მდიდარ სასოფლო-სამეურნეო რეგიონსა და სახელმწიფოს დანარჩენ მწირ ნაწილს შორის. მაგრამ თუ თვითიდენტიფიკაცია სხვადასხვაა – და, მაშასადამე, მაკროჯგუფთა მაკროჯგუფური სპეციფიკური ინტერესებიც სხვადასხვაა – მაშინ რეგიონული თვითმმართველობის ოპტიმალური ხარისხისა და ხასიათის განსაზღვრაში მისი ზემოხსენებული ტექნიკური მხარე უკანა პლანზე გადადის უფრო მძიმე მაკროჯგუფთაშორისი რეგულირების ამოცანასთან შედარებით. მაშინ დამგეგმავს მართებს, შეიმუშაოს განსხვავებულ (ურთიერთდაპირისპირებულ) მაკროჯგუფურ ნებათა ცნობიერი ურთიერთმორგების მოდელი – რა თქმა უნდა, მოსალოდნელ ხიფათთა განჭვრეტით, – რომელიც ინტერესთა და ზრახვათა ერთი კლასის გაშლა-გალაღებასთან ერთად ინტერესთა და ზრახვათა სხვა კლასის რეალიზაციის აკრძალვასაც მოიცავს, როგორც უსამართლოსას ან პერსპექტივაში სახიფათოსას.

გასათვალისწინებელი ხიფათები, პირველ ყოვლისა, შემდეგია:

ა) თუ მაკროჯგუფის თვითიდენტიფიკაცია სხვაა, ვიდრე სახელმწიფოს მოსახლეობისა მთლიანობაში, მაშინ მისი და მისი სულისკვეთების მიმდევარი ადგილობრივი მმართველის ერთ-ერთი მიზანი, რასაც იგი ჩათვლის თავის მოვალეობად მაკროჯგუფის წინაშე, იქნება ცენტრის ერთ-ერთი მიზნის საწინააღმდეგო, ანუ მიმართული იქნება დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდისაკენ თვით სახელმწიფოდან გამოყოფამდე იმ ტერიტორიითურთ, რომელიც მას უკავია. დამოუკიდებლობის ხარისხის ყოველი გადიდება, თავის მხრივ, იწვევს არა ღია კონფლიქტის ალბათობის შემცირებას, არამედ, პირიქით, მისი პოტენციის გადიდებას გარდაუვალი აფეთქების პერსპექტივით. ამ კონტექსტში არ შემიძლია არ გავიხსენო ეუთო-ს, ჩემის აზრით, სრულებით უპერსპექტივო გეგმა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებისა ოსებისათვის მაქსიმალურად ფართო ტერიტორიული ავტონომიის დაწესების გზით, „სამხრეთ ოსეთის“ სახელით, და ერთი და იმავე ფუნქცია-პასუხისმგებლობების, მათ შორის პოლიციური ფუნქციების წინასწარ განსაზღვრული პროცენტული განაწილებით საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და დიამეტრულად მოპირდაპირე ინტერესების მქონე ოსურ მხარეს შორის. ეს გეგმა პერსპექტივაში მხოლოდ კონფლიქტის განვითარების მომტანია ხსენებული ტერიტორიის საქართველოსაგან გამოყოფის ლოზუნგით და ოსი ერისათვის ამ ამოცანის პირველ ნომერ საერთოეროვნულ ამოცანად ქცევით, ან, პირიქით, ამ კონფლიქტში ზოგადსახელმწიფო პოზიციის ძირეული გამარჯვების გზით.

ბ) თუ მაკროჯგუფის უფლება და შანსი, რომ ქვეყანაში მოიპოვოს და გაიფართოოს ტერიტორიული თვითმმართველობის სპეციფიკური სტატუსი, განპირობებულია არა მხოლოდ ზემოხსენებული ტექნიკური მოტივებით, არამედ ადგილობრივი უმრავლესობა ასეთ სტატუსს ეძებს თავისი სპეციფიკური მაკროჯგუფური (ამ შემთხვევაში – ეთნიკური) ნიშან-თვისებების გამოც, ეს გარდუვალად ქმნის იმ ეთნიკური წმენდისა და მისი მეთოდის – გენოციდის და დეპორტაციის გამოყენების პერსპექტივას, რომლის მაგალითებიც მრავლად ვიხილეთ ამ ბოლო წლებში. მართლაც, თუ ტერიტორიის სტატუსი და იმ მოსახლეობის სტატუსი, რომელიც თავს სხვად თვლის, დამოკიდებულია დემოგრაფიულ დინამიკაზე, ეს ბუნებრივად ქმნის მოტივაციას, რომ მხარეებმა ხელოვნური ზემოქმედება მოახდინონ ამ დინამიკაზე ზემოხსენებული უმართებულო მეთოდების გამოყენებით, თუნდაც პროფილაქტიკური მიზნით. ამგვარად, ეუთო-ს ზემოხსენებული გეგმა მომაკვდინებლად სახიფათოა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ, მისი განზოგადების შემთხვევაში, კაცობრიობისათვისაც საერთოდ. თქმულიდან გამომდინარეობს, რომ იმ შემთხვევაში, როცა სხვადასხვა თვითიდენტიფიკაციის მქონე მაკროჯგუფთა ურთიერთობის დარეგულირების ამოცანა დგას, თვითმმართველობის ფორმისა და ხარისხის განსაზღვრა აღარაა ტექნიკური პრობლემა. აქ აუცილებელი ხდება რეგულირების სხვა, უფრო ზოგადი და ღრმა სახელმძღვანელო პრინციპების არჩევა, როგორიც, მაგალითად, პრინციპისა, რომ არა მხოლოდ გარე საზღვრებია ხელშეუხებელი და შიდა – არაგაუქმებადი, არამედ დაუშვებელია ახალი შიდა საზღვრების შექმნაც, აგრეთვე მაკროჯგუფებისათვის ე.წ. „ისტორიული მეხსიერების“ უფლების აღიარების პრინციპისა და სხვა. სხვა მიდგომა არა მხოლოდ არარეალისტური იქნება ხანგრძლივი პერსპექტივის თვალსაზრისით, არამედ, ანალიტიკური მიდგომის თვალსაზრისით, ანტიმეცნიერულიც.

გამოსაყოფი დაგვრჩა ვითარების ერთი მომენტიც. როგორც უკვე ითქვა ზემოთ, მაკროჯგუფის თვითიდენტიფიკაცია ემყარება გარემოებათა გავლენას, თვით ადმინისტრაციულ ერთეულთა ნომენკლატურის ფაქტორის ჩათვლით. ყველაზე კანონზომიერი და გავრცელებულია ის თვითიდენტიფიკაცია, რომელიც ფაქტობრივად სახელმწიფოებს ქმნის – ეროვნული თვითიდენტიფიკაცია ანუ მაკროჯგუფის მიერ თავისთავის გაიგივება: ა) ბუნებისა და ენის ერთობის ან ქვაზი-ერთობის მიხედვით და ბ) კაცობრიობის, როგორც მთელის, წინაშე და ისტორიის წინაშე ცალკე ერთეულად დგომისუნარიანობის, კაცობრიობისა და მისი ისტორიის წინაშე საკუთარი გამოკვეთილი სახის, საკუთარი ეინაობის ქონის უნარის მიხედვით. პირველი მოტივის შესუსტება, შეცვლა და გაყალბება შესაძლებელია ცნობიერების მანიპულირებით დეზინფორმაციის მიწოდების და სწორი ინფორმაციის დამალვის გზით (მაგალითად, ერს შეიძლება ხელისუფალნი უმალავდნენ მის ისტორიას). მეორე მოტივის დათრგუნვა, როგორც ზემოთ ვთქვით, შეიძლება ერის ზოგადეროვნული საკაცობრიო ფუნქციის შესუსტებით, მისი ზოგადი დათრგუნვით, პლანეტის საერთო სისტემაში მისი სახელმწიფოებრივი ადგილის გაუფერულებით, გაზედმეტებით, მისი, ასე ვთქვათ, საკაცობრიო განაცხადის დაპატარავებით, რაც ბუნებრივად იწვევს მოქალაქის ყურადღების გადატანას არა იმაზე, რაც ერს რეალურად საერთო აქვს – ერთობლივ-ეროვნულ ამოცანებზე და როლზე კაცობრიობის კონტექსტში – არამედ კერძო განსხვავებებზე ერის შემადგენელ ადგილობრივ მაკროჯგუფებსა და ქვეყნის შემადგენელ პროვინციებს (მით უმეტეს – ისტორიულ პროვინციებს) შორის. სოციოლოგიის ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ რაგინდარა ერთგვაროვან სოციუმში გარდუვალად ჩნდება მიზიდულობის ერთგვარი მრავლობითი ცენტრები, უბნები, ე.წ. „კლასტერები“, „კონები“, რომელთა შიგნითაც კავშირ-ურთიერთობები უფრო ინტენსიურია, ვიდრე ამ უბნებს შორის. სიტყვამ, სახელმა, ისტორიულმა ასოციაციამ ან ტრადიციამ, მითუმეტეს ადმინისტრაციულმა დაყოფამ შესაძლოა ის როლი ითამაშოს ტერიტორიული რეგიონების ამ განსხვავებათა ჩამოყალიბება-დაკრისტალებაში სხვადასხვა ფუნდამენტური თვითიდენტიფიკაციის მქონე ეთნიკურ ერთეულებად, რასაც ნაჯერ ხსნარში ჩაშვებული კრისტალი ასრულებს.

ამრიგად, მართვის ოპტიმალური მექანიზმების ძიების ფაქტორთა ანალიზმა, რომლებიც ღირებულებათა სისტემაზე და იდენტიფიკაციათა სისტემაზე ფუნდამენტურად დამოკიდებული აღმოჩნდა, კიდევ ერთხელ მოგვიყვანა იმავე დასკვნამდე, რითაც წინამდებარე მსჯელობის ამისწინა მონაკვეთი დავამთავრეთ. თქმულიდან კიდევ ერთხელ ჩანს საქართველოს მთლიანი ფედერალიზაციის არსებული გეგმის ან პროქართულად ანტიმეცნიერული, ან მეცნიერულად ანტიქართული ხასიათი, განსაკუთრებით იმ ზოგადეროვნული დამარცხებების ფონზე, რომელთა გასწორებისათვის ჩვენს ქვეყანას ჯერჯერობით ვერ მიუღწევია.

წარმოდგენილი ანალიზი ჩვენთვის უფრო გასაგებს ხდის ქვემორე ციტირებულ ახსნასაც გერმანული ფედერალიზმის მიერ განვლილი განვითარების ხაზისათვის: გერმანიაში დღეს ფედერალიზმის შესუსტების პროცესი იმიტომ მიდის, რომ გერმანიაში არ აღმოჩნდა საკმარისი ძალით ფედერალური სახელმწიფოსათვის საჭირო წანამძღვრები: „თანასწორუფლებიანი, სოციო-კულტურულად ჰომოგენური წევრი- სახელმწიფოები დაახლოებით თანაბარი სამეურნეო ძალით, რომელთაც შეეძლებოდათ ავტონომიური სახელმწიფოებრივი ცნობიერების და საკუთარი პოლიტიკური იდენტობის გამომუშავება“ (ჰანი და ჰოლშერი, ციტ. შრომა. გვ. 120). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გერმანელთა ზოგადგერმანულმა თვითიდენტიფიკაციამ მოსახლეობის უმრავლესობაში და ერთიანი სახელმწიფოს მაღალმა ადგილმა მოსახლეობის და პოლიტიკოსების ღირებულებათა სისტემაში განსაზღვრა ის, რომ ფედერალიზმი სეპარატიზმის გზით კი არ წარიმართა, არამედ შესუსტების გზით. როგორც შევეცადეთ გვეჩვენებინა ზემოთ, საქართველოს პირობები დღეს იმგვარია, რომ ზემოხსენებული „ავტონომიური ცნობიერების“ გაჩენისა და განვითარებისათვის პოხიერი ნიადაგი არსებობს.

გაგრძელება იქნება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №40,41,42,43,44.

## რა უნდა მგლებში ბატკანს? — აცხადებს გიორგაძე ახალგაზრდა ფინანსთა მინისტრის დამტკიცების გამო

გუშინ, პარლამენტის საღამოს სხდომაზე, პარლამენტარებმა განიხილეს მიხეილ ჭკუასელის კანდიდატურა, ფინანსთა მინისტრის პოსტზე დასამტკიცებლად. მ.ჭკუასელმა სამომავლო გეგმების შესახებ მოხსენება გააკეთა. მისი გამოსვლის შემდეგ მ.ჭკუასელის კანდიდატურის შესახებ პოზიცია დააფიქსირეს საპარლამენტო ფრაქციათა ლიდერებმა. პარლამენტარებმა დადებითად შეაფასეს მინისტრის თანამდებობაზე ახალგაზრდა კაცის დანიშვნა. ისინი ასევე ერთსულოვანნი იყვნენ იმაში, რომ საქართველოს პარლამენტში საფუძველი ჩაეყარა მინისტრების თანამდებობაზე მმართველი პარტიიდან წარდგენილი კანდიდატურების დანიშვნას. ასეთ შემთხვევაში, ამა თუ იმ სფეროზე პასუხისმგებლობა ეკისრება არამარტო ერთ პიროვნებას, არამედ მთელ პარტიას, რომელიც შეეცდება არ დაკარგოს პოლიტიკური ქულები.

საპარლამენტო ფრაქცია „ლეიბორისტის“ და „აღორძინების“ წევრებმა მოსაზრება გამოთქვეს, რომ ამიერიდან მინისტრების დამტკიცებაზე კენჭისყრა ბიულეტენების საშუალებით ჩატარდეს, რაც კენჭისყრის პროცედურისადმი პარლამენტართა პასუხისმგებლობას აამაღლებს.

როგორც სახალხო ფრაქციის ლიდერმა მ.გიორგაძემ განაცხადა, მისი ფრაქცია მხარს არ უჭერს მ.ჭკუასელის კანდიდატურას, „იმ მგლებში, რასაც დღევანდელი მთავრობა წარმოადგენს, ამ ახალგაზრდა კაცს ვერ გავუშვებთ“.

კენჭისყრის შედეგად, მ.ჭკუასელის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 155 პარლამენტარმა, წინააღმდეგი იყო 35. (იფრინდა)

## 1997 წლის 3 მაისს ჩატარდა საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის III ყრილობა

ყრილობა მიეძღვნა ორგანიზაციულ საკითხებს. ყრილობამ აირჩია ეროვნული კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ფრიდონ ასლანიკაშვილი, ტრისტან ბერიანიძე, ნოდარ გრიგალაშვილი, ამირან დოლიძე, რუსუდან დუნდუა, ზურაბ მამულაშვილი, შოთა ნადირაშვილი, ნოდარ ნათაძე, გიორგი სორდია, ელგუჯა ჩხაიძე, სერგო ცხადაძე.

ჩატარდა ეროვნული კომიტეტის სხდომა, რომელმაც ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია ნოდარ ნათაძე, პოლიტიკურ მდივნად – შოთა ნადირაშვილი, აღმასრულებელ მდივნად – გიორგი სორდია.

პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის საანგარიშო მოხსენება გამოქვეყნდება.

*საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პრესცენტრი.*

# პანაჭარული ტენდენცია ანტიაჭარულ განწყობაში არ გადაიზარდოს

ძალიან სახიფათო და საშიში ხდება აჭარის თემაზე არათუ წერა, არამედ აზრის გამოთქმაც კი. ამის მიზეზი კი გახლავთ ტყუილ-მართალის ერთმანეთში აღრევა, ვითარების გამიზნულად გაუკუღმართებული წარმოდგენა და სხვა. იმ დროს, როცა ჭეშმარიტების ფასი ჩირად არა ღირს, ყველაფრის ნება დართულია. როცა არ არსებობს ცენზურა პრესაზე, ეს კარგია, მაგრამ როცა შინაგანი ცენზურაც არ არსებობს, ეს უკვე ძალიან ცუდია. გამომდინარე აქედან, როგორც ოფიციალურ, ისე თავისუფალ და ყვითელ პრესაში ვრცელდება განსხვავებული დანიშნულების ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები აჭარაზე.

საინფორმაციო საშუალებებით, პერიოდულად აჭარის თემით სპეკულაციისათვის მოტივებს რა გამოლევს: ხან თეზ-ი, ხან შეიარაღებული ფორმირებების აჭარაში შეჭრის შიშით გამოწვეული აჟიოტაჟი, ხან ტერორისტული ჯგუფების გამოგონება და ა.შ. მაშინ, როცა მთელი საქართველოსაგან განსხვავებით გრანდიოზული სასიკეთო პროცესები მიმდინარეობს აჭარაში, შენდება და მშვენდება მხარე, ამ დროს, შინ და გარეთ, პარლამენტსა და ქუჩაში თურმე არ სძინავთ რეალურსა და გამოგონილ მტრებს და ვითარების დასაძაბავად ახალ-ახალ გეგმებს ამზადებენ.

საქმეში ჩაუხედავ მკითხველს შეიძლება ცნობისმოყვარეობა მოეძალოს – „რატომ კონკრეტულად არ დაასახელებთ ვინმეს?" ამ შემთხვევაში, რაზედაც საუბარი მაქვს, ტენდენციაა უფრო მთავარი, ვიდრე ამ ტენდენციის ნებსით თუ უნებლიედ ხელშემწყობი თუ განმამტკიცებელი რომელიმე ავტორის სახელი და გვარი. ან რა აზრი აქვს კონკრეტული ავტორის დასახელებას, როცა საჯაროდ, ცენტრალური გაზეთებიდან მწერლები, მეცნიერები, პარლამენტის წევრები და წარმოიდგინეთ, საპარლამენტო ფრაქციისა და კომიტეტის თავმჯდომარეები დიდი ენთუზიაზმით ეწევიან აგიტაციას ანტიაჭარულ ლაშქრობაზე, რომელსაც გამიზნული ხასიათი აქვს, რომ თურმე ამ გამიზნულმა ლაშქრობამ პარლამენტშიც შეაღწია და ა.შ.

სინამდვილეში, საქართველოში არავითარი ანტიაჭარული ისტერია არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს! საქართველოში, უფრო სწორად გარკვეულ წრეებში (შეიძლება ნაწილობრივ სახელისუფლო სტრუქტურებში), არის აჭარის ხელისუფლებისადმი გარკვეული უარყოფითი დამოკიდებულება და მისი გაიგივება ანტიაჭარულ ბაქანალიასთან, რბილად რომ ვთქვათ – ან გაუგებრობაა ან სულაც დემაგოგიაა (ასეთ სერიოზულ საკითხზე მსჯელობისას მხედველობაში ვერ მივიღებთ ვინმეს როყიოდ წამოსროლილ ფრაზას ან რომელიმე საგაზეთო პუბლიკაციის მყვირალა სათაურს აჭარასა და ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებაზე).

შეიძლება კი ზემოაღნიშნული ანტიაჭარულ ბაქანალიად ჩაითვალოს? არავითარ შემთხვევაში, რადგანაც საერთო განწყობა აჭარის მიმართ ისეთია, როგორიც უნდა იყოს (ხშირად გადაჭარბებულადაც!). კერძოდ, ოფიციალური საინფორმაციო საშუალებები, განსაკუთრებით კი ცენტრალური ტელევიზია, სწორედ რომ პანაჭარულ პოზიციას ამჟღავნებს მუდამ.

ახლა ცენტრალურ ხელისუფლებას არ იკითხავთ? პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფო მინისტრი და პარლამენტის რამდენიმე ფრაქცია ასევე „პრო" აჭარული პოზიციისაა. მმართველი პარტიის ზოგიერთი პარლამენტარის საჯარო ალიარებით აჭარის ხელისუფლებას დაუთმეს საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტებისას და ბიუჯეტის დამტკიცებისას. ჩვენის მხრით დავუმატებთ, რომ ეს დათმობათა ნუსხა არასრულია, რადგანაც მას ადგილი ჰქონდა როგორც საქართველოს პარლამენტის, ისე აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნების დროს. ეს დათმობები კი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ნამდვილად ვერაა მოსაწონი და არც მათი საჯაროდ გამოფენა უნდა იყოს მაინცდამაინც სასურველი.

მაშინ ვინ არიან ისინი, აჭარის წინააღმდეგ ახალ-ახალ პროვოკაციებს რომ გეგმავენ? ასეთებად რჩებიან მხოლოდ და მხოლოდ ის ძალები, რომლებიც, ჯერჯერობით მაინც, გასული არიან პოლიტიკური არენიდან. ამ ძალების დამარცხება კი როგორც საქართველოს პარლამენტის, ისე აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებში, თვით „პრო" აჭარული ორიენტაციის პოლიტიკოსებისა და აჭარის ხელისუფლების ერთგულ დამცველთა აღიარებით – ხალხის სამართლიანი განაჩენი იყო მათდამი. მერედა, მაინც ასე საშიშნი არიან ისინი?

ასე რომ, თუკი საქმეს ბოლომდე ჩავეძიებით, ეს ანტიაჭარული ძალები სხვა არავინ აღმოჩნდებიან, თუ არა არენიდან გასული პოლიტიკური ძალები, ან კიდევ სულაც ქიმერები. არც ერთი და არც მეორე ძალა საშიში არაა, მაგრამ რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ისინი მაინც საშიშნი ყოფილან! ეს კი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ თვით ხმაურის ამტეხებთან ყველაფერი ვერაა კარგად.

მოგეხსენებათ, რომ განსაკუთრებული აჟიოტაჟი მოჰყვა თეზ-ის ჩავარდნას პარლამენტში, რასაც თეზ-ის ინიციატორი ფრაქციის არცთუ ისე სასურველი განცხადება მოჰყვა. შეიძლებოდა კი ეს საკითხი გამხდარიყო ამდენი ციებ-ცხელების საგანი?

თეზ-ი უპირველესად პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენაა. თეზ-ის მომხრეებმა, გარდა კეთილი სურვილებისა, ვერავითარი დამაჯერებელი საბუთი ვერ წამოაყენეს თავიანთ სასარგებლოდ. მაშინ როცა მოწინააღმდეგეებმა არგუმენტირებული მოსაზრებანი შემოგვთავაზეს. საპასუხო რომ არაფერი იყო, თეზ-ის აქტივისტებმა გაბუტული ბავშვის პოზა მიიღეს, ახლა პარლამენტში დაიწყეს მტრის ხატის ძებნა და თავის მომჭრელი განცხადებაც გააკეთეს, რასაც, როგორც იქნა, ადექვატური რეაქცია მოჰყვა პარლამენტის თავმჯდომარის და ზოგიერთი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მხრიდან.

რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ სტაჟიანი პარლამენტარები, საკმაოდ გამოცდილი პოლიტიკოსები იქამდე მივიდნენ, რომ გაკვირვებას გამოხატავდნენ პოლიტიკასთან თეზ-ის დაკავშირების გამო. ნუთუ ხუმრობენ ეს ბატონები, თუ მართლაც არ არიან აზრზე? ვის გაუგონია ეკონომიკა, მით უმეტეს თეზ-ი პოლიტიკის გარეშე.




ან კიდევ, ენა როგორ უნდა მოგიბრუნდეს და თქვა: თეზ-ს იმის გამო ეწინააღმდეგებიან, რომ იგი აჭარიდანაა შემოთავაზებული. მერედა, ვინ ჩააგდო თეზ-ი; „მოქალაქეთა კავშირმა" – მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ! ვინ დგას მის უკან? გამოდის, რომ ქვეყნის აყვავების საქმეს (როგორადაც წარმოადგენენ თეზ-ს მისი მომხრეები) ეწინააღმდეგება ამავე ქვეყნის პრეზიდენტი. დავიჯეროთ ეს? სად და რომელ ქვეყანაში ყოფილა ასეთი რამ? არადა, ფაქტია, რომ აჭარის ხელისუფლებას და მათ დეპუტაციას პარლამენტში თავი მოაქვს იმით, რომ მუდამ პრეზიდენტს ვუდგავართ გვერდშიო. ამ ლოგიკით თეზ-ის ჩაგდებაში პირდაპირ თუ არაპირდაპირ მონაწილეობა მიუღიათ თვით მის ინიციატორებს.

სათქმელი გაგვიჭიანურდა. ჩემი წერილის სათაური ხომ სხვა რამეზე მიანიშნებს. დავიწყოთ იმით, რომ ანტიაჭარული ბაქანალია, მართლაც და საშიში მოვლენაა. საბედნიეროდ, საქართველოში იგი არ არსებობს, მაგრამ რეალურად არსებობს ანტიაჭარული განწყობის გაჩენის საფრთხე. ამის მიზეზი კი გახლავთ პანაჭარული ტენდენცია, რასაც რამდენიმე წელია ასე აქტიურად ნერგავს ზოგიერთი მწერალი, მეცნიერი, პარლამენტარი თუ ჟურნალისტი (ყოვლად გაუმართლებელია იმის პროპაგანდა, რომ „აჭარელი ყველაზე ნაღდი ქართველია", „ნამდვილი საქართველო აჭარიდან იწყება", „მთელი საქართველო ინგრევა, აჭარა შენდება" და სხვა მისთანანი).

საკმარისია ბათუმში ერთხელ ჩასვლა, იქ სასურველ ადგილებში გასეირნება (მოგეხსენებათ, სამთავრობო აპარტამენტებში ყველაფერი კარგადაა აწყობილი და იქიდან ყველაფერი კარგად ჩანს) და სახოტბო რეპორტაჟები და წერილებიც მზადაა (ან ის რას ნიშნავს, რომ საქმისაგან შორს მდგომი ხელოვანები თუ მეცნიერები ესტუმრებიან ბათუმს და გამოცხვება ერთი და იმავე შინაარსის და დანიშნულების წერილები, რომელთა ერთმანეთისაგან განსხვავება ავტორთა გვარებით თუ შეიძლება). არაერთი შემთხვევა მქონია, როცა ჩვენი საზოგადოებისათვის საკმაოდ ცნობილ პიროვნებას გადაკვრით უთქვამს, თუ რა გაჭირვებამ დააწერინა მათ ეს წერილები.

ეს მაინც კონკრეტული შემთხვევებია, საშიში უფრო სხვა რამაა. ხელისუფალნი მოდიან და მიდიან, გავა დრო და კარგს კარგი დაერქმევა, ცუდს კი ცუდი. ისტორია პირუთვნელად განსჯის მტყუან-მართალს და არ გვმართებს თავის გამოდება იმაზე, მართალნი ვართ თუ არა. მაგრამ, როცა მეთოდურად, თვეების, წლების განმავლობაში მიმდინარეობს პროპაგანდა რაღაც მითიურ პროცესებზე აჭარაში, რაღაც საოცარ სიმდიდრეზე, არნახულ აღმაშენებლობაზე [illegible] საყოველთაო გაჭირვების ჟამს ამგვარი პროპაგანდა უკვალოდ არ ჩაივლის და საწინააღმდეგო ეფექტს მოიტანს. კერძოდ, ეს ზღვარგადასული ქებათა-ქების კამპანია შეუძლებელია წვეთ-წვეთობით არ დაგროვდეს და ერთხელაც იქნებ სულაც ანტიაჭარულ ტენდენციაში გადაიზარდოს (ასეთი რამ ხდება ხოლმე).

არაა გამორიცხული, რომ ეს სწორედ მაშინ მოხდეს, როცა ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. მთავარი ისაა, რომ ამ უარყოფითი განწყობის დაძლევას გაცილებით დიდი დრო დასჭირდება (მაშინ კი გაახსენდებათ განკერძოების პოლიტიკა, შავის თეთრად მოჩვენების ილუზია, რელიგიური ფაქტორი და სხვ. მაგრამ გვიან იქნება). მოსალოდნელია, რომ მაშინ უკვე გარკვეულმა ძალებმა ყველაფერი დააბრალონ აჭარას, მის მოსახლეობას (განა თეზ-ი აჭარულ მოვლენად არ წარმოადგინეს და „აჭარულ შანტაჟადაც" მონათლეს).

ვინც აქამდე მიიყვანა საქმე, ამ საქმის ნამდვილი დირიჟორები, ხომ არ გგონიათ, თავს მოიკლავენ? პირიქით, ყველაფერს იღონებენ, თავი უცოდველ კრავად რომ მოგვაჩვენონ. უკიდურეს შემთხვევაში კი (ისევ საკუთარი კანის გადასარჩენად), ვითომც არაფერი, გვერდზე გადგებიან და თავს სირაქლემას პოზაში ჩაიყენებენ.

ამიტომაც კიდევ ერთხელ გავიხსენოთ და გავიცნობიეროთ, რომ აჭარა აქამდე თავისი სინდის-ნამუსით მოვიდა, მის წიაღში რომ არ ყოფილიყო დიდი ეროვნული ენერგია, სამასწლიანი განშორების შემდეგ მას ველარ უშველიდა ვერც საქართველოს ერთიანი ძალისხმევა და მით უმეტეს, თითო-ოროლა ნამდვილი თუ გამოგონილი გმირი. მოდით, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ პანაჭარულ ტენდენციას, რათა იგი არ გადაიზარდოს ანტიაჭარულ განწყობაში.

**მიხეილ მახარაძე**

# თავისუფალი პრესა ისე „გათავისუფლდა", რომ...

კანონპროექტი პრესის შესახებ, რომელიც მაისის თვეში პარლამენტში უნდა განხილულიყო, შემოდგომისათვის იქნა გადატანილი. მანამდე კი, ალბათ, კიდევ მრავალი გაუგებრობა და სასამართლო პროცესია მოსალოდნელი, რისი მოწმენიც აქამდე არაერთხელ ვყოფილვართ. კანონის მიღების მოახლოება პრესის თავისუფლებაზე თავდასხმის პროპაგანდისტულ შემთხვევებს გაახშირებს. მიზანი ნათელია, შეიქმნას გარკვეული აზრი, რომელიც იმოქმედებს ამ კანონის პრესისათვის არასასურველი სახით მიღებაზე.



საინტერესოა, რამდენად ხელს უშლის ქართული პრესა ზოგიერთ თანამდებობის პირს თავისი მიზნების განხორციელებაში. ისინი ხომ ხშირ შემთხვევაში საერთოდ არ თვლიან საჭიროდ თუნდაც ზერელე რეაგირება მოახდინონ პრესაში გამოჩენილ არასასურველ ბრალდებებზე. ეს პრობლემა იმ ქვეყნებში არსებობს, სადაც სახელმწიფო მოხელე თავს ვალდებულად თვლის, რომ ხალხის წინაშე იგი ფორმალურად მაინც მართლად გამოიყურებოდეს. ჩვენთან კი ეს ყველაფერი მარტივი, პოპულარული ფორმულით გამოისახება: – „წერეთ და იკითხეთ...", თუ ამას კიდევ სხვა „მოსაფერებელი" გამოთქმებიც არ მიაყოლეს.

ჩვენებურ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს გასაკრიტიკებელის მეტი რა აქვს, მაგრამ ისე „შავადაც" არ არის საქმე, როგორც ამას მავანი არაკეთილისმსურველები ხატავენ. რა თქმა უნდა, არ არის სასურველი, როდესაც ჟურნალისტი ვინმესთან სახლში მიდის და შემთხვევით გაგებულ დეტალებს მთელ ქვეყანას მოსდებს. არც ისაა მისასალმებელი, ადამიანს მაინცდამაინც მაშინ გადავუღოთ ფოტოსურათი, როდესაც იგი წონასწორობიდან გამოდის, ცხვირს იხოცავს თუ სხვაგვარ უხერხულ სიტუაციებშია. მაგრამ უცხოელი კოლეგები გაცილებით მეტის უფლებას აძლევენ თავის თავს. მათთან შედარებით ჩვენების „ანცობა" მხოლოდ ბავშვურ მიამიტობად გამოიყურება.

ზოგიერთს რომ ჰკითხო, გაზეთს, ტელევიზიას, რადიოს საერთოდ აკრძალავდა. უკეთეს შემთხვევაში მას ელიტის სუფრის მსახურის როლს დააკისრებდა, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ქვეყანას დემოკრატიის გზით ვაშენებთო, ველარ იტყოდნენ, და ეს მათ ბევრი რამის დაკარგვას უქადის. ამიტომაც იტანენ, მეტი რა გზა აქვთ?

**პაატა მანჯგალაშვილი**

## • 14 მაისი თამარ დედოფლის დღეა

მეთორმეტე საუკუნეში თამარ მეფის სახით საქართველოს ცაზე აღმობრწყინდა „ღვთივ გვირგვინოსანი“ ერის უკვდავება – უდიდესი მნათობი, ქართველთა დედა!

1179 წელს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა 8 წლის „ყრმა“ თამარი, მისმა მამამ მეფე გიორგი III-მ სამეფო ტახტზე აღაზევა და თანამესაყდრედ დაისვა, ხოლო 1184 წელს, მამის სიკვდილის შემდეგ, 14-15 წლისა სრულიად საქართველოს მეფედ იკურთხა.

ბედნიერმა შემთხვევამ, სხვა წერილობითს ძეგლებს შორის, შემოგვინახა თამარის პირველი სეფე სიტყვა, რომლითაც სამღვდელოების წინაშე წარსდგა სამეფო ტახტზე ახლად აბრძანებული მეფე საქართველოისა.

– წმინდანო მამანო, თქვენ ყველაზე მეტად მოვალენი ხართ ღირსეულად, კეთილად და სამართლიანად იღვწოდეთ. ღვთის განჩინებით თქვენ ხართ ჩვენთვის მოძღვრად მოვლენილნი. თქვენ უნდა პასუხი გასცეთ გამჩენს, თუ რომელიმე ჩვენგანი თქვენის დაუდევრობით სულს წაიწყმედს. თვალყური ადევნეთ კეთილ საქმეს, გამოიძიეთ, გამოიკვლიეთ ბეჯითად თქვენი სამწყსოს ყოველი ნაბიჯი, სიმართლე დაამტკიცეთ, უსამართლობა განდევნეთ, ბოროტმოქმედნი დაუსჯელნი არ უნდა დარჩნენ. იწყეთ მართლმსაჯულება პირველად თუნდაც ჩემზედ, თუკი ვარ დამნაშავე, თუ რაიმეში მედება ბრალი. გვირგვინი, რომელიც მე მადგას თავზე, არს ნიშანი მეფობის და არა ღვთის წინააღმდეგობისა და უსამართლობისა. ნუ მიხედავთ ნურც გვარს, ნურც მთავართ დიდკაცობას: ყველას სიმართლით მოეპყარით, გლეხსაც და თავადსაც; ვიმოქმედოთ ყველამ ერთად ქვეყნის საერთო კეთილდღეობისთვის: თქვენ სიტყვით, ხოლო მე საქმით, თქვენ დარიგებით, მე აღსრულებინებით და გაწვრთნით, როგორც წესი და რიგია. იმოქმედეთ თქვენ, ვითარცა მოძღვარნი, ხოლო მე ვითარცა აღმსრულებელი თქვენის დარიგებისა და რომ ყველამ აღასრულოს კანონი, ჩვენ უშიშრად ხელი მივცეთ ერთმანეთს და თვალყური ვადევნოთ სიმართლის აღსრულებას საქაც და ქვემოთაც სიტყვები გადმოცემულია თანამედროვე ქართულით)!

ეკლესიის უზენაეს მსახურთა მიმართ წარმოთქმულ თამარ მეფის ამ სიტყვაში ნათლადაა გამოხატული სამეფო ტახტზე ასული დიდებული მეფის პოლიტიკური მრწამსი ქვეყნის მომავალი კეთილდღეობისათვის; ჩამოყალიბებულია ერის ზნეობრივი გაჯანსაღების მორალური კოდექსი, მითითებულია უფლება და მოვალეობანი როგორც ქვეყნის სახელმწიფო ხელმძღვანელისა, ისე, და უპირველეს რიგში, სამღვდელოებისა, რომელიც ღვთის მიერ მოვლენილია განჩინებად ხალხისა და „მმართებლად წმინდისა ეკლესიისა“, რათა „თანადგომითა და ერთიანობითა“ ხელი მიეცათ ერთმანეთისადმი და აღესრულებიათ ქვეყნის კანონი და სამართალი.

სამეფო დარბაზში გამართულ ამ სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას, რომელიც თამარმა დიდებული წინაპრის დავით აღმაშენებლის მსგავსად მოიწვია, ესწრებოდნენ „ყოველნი სამეფოსა თჳსისა მღვდელთმოძღვარნი, მონაზონნი და მეუდაბნოენი, კაცნი მეცნიერნი სჯულისა საღმრთოსანი“.

კრების მოწვევა ნაკარნახევი იყო ქვეყნის შიგნით შექმნილი ვითარებით. საქმე ის გახლავთ, რომ თამარ მეფის მამის გიორგი III-ის სიკვდილის შემდეგ თავი წამოყო როგორც საერო, ისე სამღვდელოების ზოგიერთმა დიდი თანამდებობისა და მდგომარეობის პირმა. მათ სურდათ შეეზღუდათ მეფის უფლებანი და საერთოდ გადაესინჯათ გიორგი მეფის მიერ განხორციელებული სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი.

მართალია, თამარის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, სამღვდელოების კრებამ თავის სამწყსოში გადააყენა შეუფერებელი ღვთისმსახურნი, არასასურველი ეპისკოპოსნი და ისინი შეცვალა შესაფერისი პირებით, მაგრამ მეფემ მაინც ვერ მიაღწია სრულ გამარჯვებას, – ვერაფერი დააკლო გამედიდურებულ მიქაელ კათალიკოსს, რომელმაც ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა ჩამოართვა მეფის ურთგულეს პირს ანტონ გნოლისთავისძეს და ეკლესიის მართვა-გამგეობასთან ერთად, ხელთ იგდო ყველაზე გავლენიანი სავეზიროც (თამარმა იგი

# „თამარის დროშა გამალეს...“



ვერც თანამდებობიდან გადააყენა და ვერც მწიგნობართუხუცესობა ჩამოართვა).

ამავე პერიოდში საქართველოს ახალმა მესაჭემ განახორციელა რიგი ფრთხილი და მოქნილი ღონისძიებანი მოწინააღმდეგე დიდგვაროვან აზნაურთა და სხვათა მიმართ.

საქმე ის გახლავთ, რომ როდესაც თამარი გაამეფეს და დასვეს სამეფო ტახტზე – „საყდარსა თვისსა მამათასა“, მაშინ საქართველო ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო და მის გამგებლობაში შემოდიოდა ირგვლივ მდებარე სხვადასხვა მოდგმისა და სარწმუნოების ყმადნაფიცი ქვეყნები. საქართველოში საკმაოდ მოიძებნებოდა როგორც შინაური, ისე უცხო წარმოშობის მტრები, რომლებსაც სრულებითაც არ სურდათ მეფის ძალაუფლების შემდგომი განმტკიცება-გაძლიერება. მართალია, საქართველოს „შვიდსავე სამეფოს“ დიდებულთა თავყრილობამ მეფის გვირგვინი ღირსეულად დაადგა თამარს და ცნო იგი მამაკაცთა სწორ მეფედ, აღიარა აგრეთვე სახელმწიფო ჯარის მხედართმთავრად (ამ მიზნით ქალწულ გვირგვინოსანს სამხედრო უფლების ნიშნად ხმალიც შემოარტყეს წელზე – „დალოცეს და ადიდეს სპათა შვიდთავე სამეფოთათა“), მაგრამ გიორგი მეფის უკმაყოფილო დიდგვაროვანთა ერთმა ნაწილმა, ყუთლუ-არსლანის მეთაურობით თამარს წაუყენა ულტიმატუმი – გადაეყენებინა უგვარო მოხელენი და დაეარსებინა ისანში, მეფის სასახლის მახლობლად, მართვა-გამგეობის საგანგებო დაწესებულება – „კარავი“.

ამით დიდგვაროვანმა მოხელეებმა გადაწყვიტეს ძირძველი წოდებრივი ჩამომავლობითი უპირატესობა კვლავაც ადამიანის პირად ღირსებაზე მაღლა დაეყენებინათ („აღარ ვეგებით ძუელთა ხელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანსა ქუეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძრცვილნი და უპატიოდ გასულნი ვართ გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატრონოდ და უსახელოდ გასრულვართ უგვაროთა და უხმართაგანო“), ე.ი. განიზრახეს გაუქმება ყოველივე იმისა, რაც თამარის ღირსეულმა წინაპრებმა საქართველოს კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის შექმნეს.

გულნაწყენმა მოხელეებმა ამ მიმართვაში პირდაპირ განუცხადეს თამარს, რომ აღარ დაემორჩილებიან გიორგის მიერ აღზევებულ უგვარო დიდმოხელეებს, და მოსთხოვეს გადაეყენებინა, პირველ რიგში, ამირსპასალარი ყუბასარი და მსახურთუხუცესი აფრიდონი – მეფის ერთგული ვეზირები.

ერის ბელადმა თამარმა, დიდ სიფრთხილესა და წინდახედულობასთან ერთად, განსაცვიფრებელი სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა ამ შემთხვევაში. სამეფო კარის მითითებით იძულებული შეიქმნა დაეთმო დიდგვაროვან გაფიცულთათვის და მეფის ერთგული ვეზირები გაათავისუფლა.

ყუთლუ-არსლანისა და მის მოკავშირეთა მცდელობა, – შექმნილიყო განსაკუთრებული „კარავი“ და გადაქცეულიყო სახელმწიფო ისეთ უმაღლეს დაწესებულებად, სადაც „დასხდომილნი მუნ შიგან“ გაარჩევდნენ მეფის დაუსწრებლად საკანონმდებლო და სახელმწიფოებრივ საქმეებს (თანამდებობათა მიცემა და ჩამორთმევა, ბრძანებების გაცემა, ხარჯების „წყალობის“, „შერისხვის“ და სხვა უზენაესი საკითხები) და მეფეს ამ გადაწყვეტილებებს ფორმალურად აცნობებდნენ და დაამტკიცებინებდნენ, – მოასწავებდა ფაქტობრივად თამარის ჩამოშორებას სახელმწიფო საქმეებისაგან, მისი სამეფო უფლებების სრულ გაუქმებას და საბოლოოდ ისეთი წყობილების შექმნას, სადაც მთელი ძალაუფლება მთლიანად დიდგვაროვან აზნაურთა ხელში გადავიდოდა, ხოლო თამარს დარჩებოდა უფლება, როგორც აღმსრულებელს, განეხორციელებინა – „სრულეყო“ კარვის სხდომებზე მიღებული დადგენილებანი.

თამარმა სათანადოდ შეაფასა აღნიშნული კრიტიკული მდგომარეობა, მოელაპარაკა სამეფო კარს (ერთგულ მოყმეთ), „შეიპყრა ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესი“ და დაატყვევა.

ამ უაღრესად გამწვავებული განსაცდელის პირობებში, დიდებულმა ქვეყნის საჭეთმპყრობელმა გამოიჩინა მეტად დიდი დიპლომატიური ნიჭი და ნაცვლად შებრძოლებისა, გადაწყვიტა მეამბოხეებთან მშვიდობიანი მოლაპარაკება გაემართა.

თამარ მეფემ აჯანყებულთ მიუგზავნა ორი დიდებული მანდილოსანი – დიდგვაროვანი აზნაურის რატი ერისთავთ-ერისთავის დედა – ხოშაკ ცოქალი და აზნაურ სამძივართა დედა – კრავაი ჯაყელი. „წარგზავნილმან ორთა საპატიოთა დედოფალთამან“ დაითათბირეს და დაიყოლიეს აჯანყებულები მეფის სურვილისამებრ (თამარმა დააბარა, რომ გარდა ყუთლუ-არსლანისა, ბრალი არავის დაედება); ბრწყინვალე შუამავლებმა მეფის დავალება პირნათლად შეასრულეს. თამარის სახელით ფიცი მისცეს და განდგომილნი მეფის სურვილზე დაიყოლიეს. „აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს მათ პირობა ერთგულებისა და ნებისყოფლობისა მათის“.

შემდგომ ამისა, საქართველოს სამეფო საბჭოს – მეფის კარის წინაშე დადგა ახალი, მეტად რთული – თამარის დაქორწინების პრობლემა.

ბევრი იყო მსურველი, რჩეულნი რჩეულთა შორის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე სხვა, მეზობელი ქვეყნებიდან. მეფის სახლობამ, თამარის თანხმობის გარეშე და მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, გადაწყვიტა მეფის ქმრად ჩამოეყვანათ სუზდალის რუსეთის მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის შვილი გიორგი.

გამართლდა თამარის შორსმჭვრეტელობა. გიორგიმ გამოამჟღავნა მეტად ცუდი ჩვევები, ხელი მიჰყო ლოთობას, გარყვნილობას.

ღვთისნიერი და ბრძენი თამარი „ორ წლამდის, გინა უმეტეს, იყო განსაცდელსა უცხოისა თმენასა შინა“.

ყოველივე ამ საუგო ამბავს ხედავდა ხალხი, ხედავდნენ ვეზირნი, დიდებულნი და ახლობელნი. შეუძლებელი შეიქმნა ასეთ კაცთან თამარის ცხოვრება. გვირგვინოსანი მეფე უნდა განშორებოდა გიორგი რუსს.

ქართველი დიდებულების ერთმა ნაწილმა თამარის შეურაცხმყოფელი გიორგის რუსის მოკვლაც კი მოინდომა, მაგრამ თამარმა აქაც ჩვეული შემწყნარებლობა გამოიჩინა. ტყვე ჰყო იგი და შავი ზღვით საბერძნეთში ქალაქ კონსტანტინეპოლს გაასახლა.

გიორგი რუსის გაძევების ერთი წლის შემდეგ, კვლავ ბევრნი გამოჩნდნენ თამარ მეფის ქმრობის მონატრულნი, მაგრამ ამჯერად ქართველმა დიდებულებმა და თვით თამარმა მეტი სიფრთხილე და წინდახედულება გამოიჩინეს.

შორეულ და უცხო ქვეყნებში უფლისწულთა ძებნის მაგიერ, ქართველმა დიდებულებმა თამარის საქმროდ მოიწადინეს ოსთა უფლისწული დავით სოსლანი – იგი იყო ნათესავი ბაგრატიონთა, შთამომავალი დავით აღმაშენებლის ასულისა, რომელიც ოსეთში იყო გათხოვილი.

რაკი დავითს წუნი არაფერში ედო, თამარიც დაითანხმეს და დააქორწინეს.

მეფეთ-მეფე თამარს და მეფე დავით სოსლანს შეეძინათ საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე ტაბახმელას. თამარმა „უწოდა სახელი ახოვანისა მის მამისა თვისისა“ გიორგი...

ომი, რომელმაც მარტოოდენ საქართველო როდი შეძრა, მოხდა 1195 წელს ციხე-ქალაქ შამქორთან. ეს ომი არსებითად იყო მუსლიმანური სამყაროს ბრძოლა ქრისტიანული საქართველოს წინააღმდეგ. ამ კოალიციას ფაქტობრივად ხალიფატი ხელმძღვანელობდა.

ქართველებმა თავიანთი მხედრიონი „დაამწყვს“ წესისამებრ. შეკრებილ ლაშქართა წინაშე თავისი მგზნებარე სიტყვით წარსდგა თამარი: „ძმანო ჩემნო, ნუ შეშინდებით, რომ თქვენ ცოტანი ხართ და ისინი ბევრნი, ღმერთი არს ჩვენთან. ღვთის ძალით გედეონმა (ებრაელთა მსაჯული და სარდალი, – ვ.გ.) სამასი კაცით რამდენიმე ათასი მტერი დაამარცხა ასურისტანელთა (ასურეთი, სირია, – ვ.გ.). როგორც ერთხელ აზიკია მეფის დროს (წინასწარმეტყველი, ბიბლიის პერსონაჟი, – ვ.გ.) ანგელოზმა მტრის ბანაკი გამუსრა, სწორედ ასევე იგივე ანგელოზი იქნება თქვენი შემწეცა. მხოლოდ იქონიეთ ღმერთზე, ღვთის მშობელზე და ჯვარზე სასოება. უშიშრად და საჩქაროდ შედით მტრის ქვეყანაში და იმედი მაქვს ძლევამოსილნი გამოხვალთ იქიდან.

შემდეგ დალოცა ჯარი, შევედრა ღმერთს, „წარუძღუანა ძელი ცხოვრებისა და თანა წარატანა ანტონი ჭყონდიდელი“. თვითონ დაბრუნდა თბილისს. „შიშუელითა ფერხითა მიიწია ტაძარსა ღმრთისმშობლისასა მეტეხთა და წინაშე ხატსა მას წმინდასა მდებარე არა დასცხრებოდა ცრემლითა ვედრებად, ვიდრემდის სრულყო ღმერთმან სათხოველი მისი“.

ქართველთა ლაშქარმა, ვახტანგ გორგასლის დროშით, მეფე დავით სოსლანის ხელმძღვანელობით, ამ ფიცხელ ომში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

შამქორის ომში გამარჯვებას დიდზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. ამ ომმა გამოამჟღავნა ჩვენი ქვეყნის უდიდესი ძლიერება მაჰმადიან სამყაროსთან შედარებით.

დამარცხებულმა აბუბექრმა შემდგომშიც რამდენიმეჯერ სცადა საქართველოს ყმად ნაფიც პროვინციებზე თავდასხმა და მათი დაპყრობა. ქართველებმა ერთხანს მის წინააღმდეგ ორმხრივი ლაშქრობაც კი მოაწყვეს. ჯარის ერთ ნაწილს მეთაურობდა დავით სოსლანი, მეორეს – მეფეთ-მეფე თამარი. დავითი გაემგზავრა „ქუეყანასა განძისასა“, ხოლო თამარი – დვინს. დავით სოსლანი განძის კარამდის მივიდა, ალყაში მოაქცია განძა და ალაფით დატვირთული დაბრუნდა. გაიმარჯვა თამარმაც დვინთან. უკან დაბრუნდა და „დადგა აგარათა მორჭმითა“.

ყოველივე ამას თვალყურს ადევნებდა რუმის სულთანი რუქნადინი, რომლის სამეფო დღევანდელ თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. იგი ყველა მუსლიმანური ქვეყნებისაგან ჯარს აგროვებდა და ემზადებოდა ქართველებზე გამოსალაშქრებლად, რისთვისაც „შეკრიბა კაცი ოთხმეოცი ბევრი, რომელ არს ოთხასი ათასი“ და თამარს სიბრიყვითა და თავხედობით აღსავსე წერილი გამოუგზავნა – თუ ჩემს მოსვლამდე შენის ნებით ამოხვალ ჩემს ურდოში, მიიღებ მაჰმადიანობას, ჩემს თვალწინ ფეხქვეშ გასრეს ჯვარს, მაშინ მარტო შენ შეგიწყალებ და შეგინდობ შეცოდებითა, სხვებს კი მივაყენებ ვაისა და ჭირსა! ახლა მოელოდე ჩემგან სანაცვლოს იმ უბედურებისა.

როცა ამ წერილით რუქნადინის მოციქული თამართან შეიყვანეს, მან მეფის წინაშე იწყო „არასაკადრებელთა სიტყვათა თქმა“. თამარს განუცხადა რუქნადინის დანაბარებიც: „უკეთუ მეფემან დაუტეოს სჯული, იპყრას სულთანმან ცოლად და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულთანისა“. ამ სიტყვების გაგონებაზე ზაქარია ამირსპასალარმა ისეთი სილა გააწნა რუქნადინის მოციქულს, რომ იგი ძირს „ვითარცა მკვდარი დაეცა“. შემდეგ იგი მოასულიერეს და უთხრეს: „თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა აღმოკუეთა იყო შენი სამართალი და მერმე-და თავისაო“.

თამარმა ძლიერ იწყინა წერილის შინაარსი, მოიწვია სახელმწიფო სათათბირო და გადაწყვიტა სასწრაფოდ შეეგროვებინათ სა-

გაგრძელება მე-12 გვ.

კვირის ფოსტა

# უპატრონოდ მიტოვებული გზები და დამალული ავტოინსპექტორები

საქართველოს საინფორმაციო საშუალებების ცნობით რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხშირია საგზაო ავტოავარიების შემთხვევები.

გზებზე მომხდარი ავტოავარიების გამომწვევ ძირითად მიზეზად, როგორც ცნობილია, მძღოლებისა და ფეხით მოსიარულეთა მიერ გზებზე მოძრაობის წესების უხეშ დარღვევას თვლიან. ჩემი აზრით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგზაო უბედური შემთხვევების გამომწვევი მიზეზები სხვაგანაც უნდა ვეძიოთ.

ხშირად მიხდება საკუთარი ავტომანქანით თბილისი–ახმეტის მიმართულებით მგზავრობა (ამ გზის საერთო სიგრძე 200 კილომეტრია). გზის ამ მონაკვეთის ზოგიერთ ადგილებსა და მის მიმდებარე სოფლებში (არაფერს ვამბობთ გზის კლასზე, შიდა რაიონულ და სასოფლო გზებზე), მანქანით და ფეხით სიარული ძალზე გაძნელებულია, ვინაიდან ბევრგან თითქმის ვერ ეხედვებით მოძრაობის მოწესრიგების საშუალებებს. ესენია ქუჩებისა და გზების მონიშვნა, საგზაო მაჩვენებლები, საგზაო თუ გამაფრთხილებელი, ამკრძალავი და მიმთითებელი ნიშნები, მაჩვენებელი თუ ნიშნების დამატებითი დაფები.



აღნიშნულთან ერთად მეტად აღმაშფოთებელი და შემზარავია საგზაო პოლიციის თანამშრომლების – ავტოინსპექტორების მიერ გზებზე მოძრაობის არა მოწესრიგების, არამედ მოუწესრიგებლობის ხელშემწყობი ე.წ. „დამალვა–ჩასაფრების“ მეთოდის გამოყენება. ჩვენი აზრით, საგზაო პოლიციის თანამშრომლების მიერ აღნიშნული მეთოდის გამოყენება უნდა მივიჩნიოთ საგზაო ავტოავარიების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად. ალბათ, მკითხველი იკითხავს – რატომ? საგზაო პოლიციის თანამშრომლები თავიანთი სამოქმედო გზის მონაკვეთზე მგზავრისათვის ხილულ ადგილას კი არ დგანან, არამედ გზის მკვეთრ მოსახვევებში, გზის პირებში, მწვანე ნარგავებში, ჩირგვებში, ხის ძირებში და სხვაგან დამალულნი და ჩასაფრებულნი არიან, და იქიდან ხდება გზებზე ავტომანქანების „უსაფრთხო მოძრაობის“ კონტროლი. შეიძლება დამალული ავტოინსპექტორი გზებზე ავტომანქანების მოძრაობას აწესრიგებდეს! ამიტომ ისმება კითხვა – „დამალვა–ჩასაფრების“ მეთოდი ვისთვის და რისთვის გამოიყენება?! პასუხი მკითხველისთვის მიმინდვია.

საინტერესოა, მგზავრი თუ ხედავს გზების ალკაზმულობის ასეთ მდგომარეობას და სხვა მავნე უმსგავსოებებს, ამას რატომ ვერ ამჩნევენ რესპუბლიკის საავტომობილო გზების, საგზაო პოლიციის, ადგილობრივი საგზაო, საგზაო პოლიციის ადგილობრივი ქვედანაყოფების, რაიონული გამგეობების, სადაბო და სასოფლო საკრებულოების და სხვათა მესვეურები?!

პროფესორი
**შოთა ყიზილაშვილი**

## პოზიცია თამამი და გაბედულია

გუშინ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თ.ნადარეიშვილმა მიიღო ეუთო-ს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ეუთო-ს ელჩი საქართველოში მიხაილ ლიბალი, ასევე დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, კანცლერი იურგენ ანდერსენი, რომელიც 1997 წელს ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარეა.

იურგენ ანდერსენის განცხადებით, საქართველოში მისი ვიზიტის მიზანია კონფლიქტის მონაწილეებისაგან ინფორმაციის მიღება, რათა უზრუნველყონ ეუთო-ს უფრო ფართო ჩართვა კონფლიქტის მოგვარების საკითხში, რაც აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების სურვილიცაა. თ.ნადარეიშვილის თქმით, ეუთო-ს პოზიცია და რეზოლუციები აფხაზეთში მომხდართან დაკავშირებით, გაეროსაგან განსხვავებით, უფრო თამამი, გაბედული და ობიექტურია. (იფრინდა)

## უნდა დაფიქსირდეს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი

საქართველოს დამოუკიდებელმა სოციალურ-დემოკრატიულმა პარტიამ გუშინ გაავრცელა პოლიტიკური განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები და დემოკრატიულობის დამკვიდრების დღევანდელი მონაპოვარი, რამაც განაპირობა საქართველოს აქტიური ჩართვა ევროპა-აზიის გეოპოლიტიკური სივრცეში, მიმდინარე ეკონომიკური ინტეგრაციულ პროცესებში, აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტას საერთაშორისო სამართლის საფუძველზე მოითხოვს. არსებული სიტუაცია აშკარად გვკარნახობს – საქართველოს კონსტიტუციაში აისახოს ქვეყნის ტერიტორიული სახელმწიფოებრივ მოწყობა ფედერალიზმის პრინციპებზე და დაფიქსირდეს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი – ავტონომია, ფედერალური მოწყობის პირობებში“. (იფრინდა).

## ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის!..

წავიკითხე გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდილი ნატო სალუქვაძის წერილი „მათხოვარი... თუ“. წერილის შინაარსმა არ შეიძლება მკითხველი გულგრილი დატოვოს. აივსო საქართველო მათხოვრებით, მეტროთი მგზავრობა მეზარება, ყოველ სადგურში ვაგონში შემოდიან ცხოვრებისაგან გაუბედურებული ხალხი, მოხუცები, ინვალიდები, ბავშვები. თუ გული გაქვს და ადამიანი ხარ, შეგძრავს მათი ხვეწნა–მუდარა, რომ მცირედი დახმარება გაიღო, ხალხსაც რა აქვს? გრცხვენია, რომ უმწეოს ვერ ეხმარები, თან ბოლმა გახრჩობს მთავრობა, რომელიც თავის მოქალაქეების დაცვას ვერ უზრუნველყოფს, იხტიბარსაც არ იტეხს, ხალხს თვალებში ნაცარს აყრის და მსოფლიოს გასაგონად გაჰყვირის, რომ ყველაფერი კარგად არის და ხალხთა კეთილდღეობა უმჯობესდება. ნოდარ დუმბაძე ასეთ ადამიანებზე ამბობდა, კაცს რომ ნამუსის ძარღვი გაუწყდება შუბლზე, მერე მისი ცხოვრება და მოქმედება ადვილი ხდებაო. უნამუსოს, ალარაფრის არ რცხვენია. ასეა დღეს, ჩვენმა მთავრობამ ამ თვეში დელფოსის დღესასწაული გამოიგონა, საზღვარგარეთიდან ხალხი მოიპატიჟა. ერთმა სტუმარმა კიდეც თქვა, ასეთ გაჭირვებაში ჩავარდნილმა ხალხმა ამ ღონისძიების დასაფინანსებელი ფული როგორ



გამონახეთ, აფერუმ, თქვენ ვაჟკაცობასო. ახლა საერთაშორისო მუსიკის და სიმღერის ფესტივალის მოწყობას ფიქრობენ, თანხებიც ხელად გამონახეს. იმის ნაცვლად, რომ მთავრობამ თავის მშიერ მოქალაქეებს მიხედოს, ფეხებზე ჰკიდია ხალხის აზრი და ძველი კომუნისტური მეთოდებით, პოპულისტური მეთოდებით ცდილობს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებას.



ხომ არ იქნება სამართლიანობა, რომ მთავრობის ამ ქმედებას დავუპირისპიროთ შემდეგი ქმედება: მათხოვრები, რომელიც მშვენიერად მღერიან და პროფესიონალებსაც არ ჩამოუვარდებიან, მოვიძიოთ, შევკრიბოთ და ამ კონკურსზე მივაღებინოთ მონაწილეობა. კიდევ ერთხელ დავანახოთ ხალხს, მთავრობამ როგორ გააუბედურა ეს ადამიანები.

**მურთაზ აბაშიძე**

ავტორის ნახატები

## ტყვეთა გაცვლის პროცესი გრძელდება

დღეს ენგურის ხიდზე მოხდება ქართველ და აფხაზ ტყვეთა გაცვლის პროცესი. ამის შესახებ სააგენტოს კორესპონდენტს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოკვლევის დროებით საპარლამენტო კომისიაში აცნობეს. იმავე წყაროს ცნობით, ქართული მხარე აფხაზურს გადასცემს ზაურ ფაჩულიას, რომლის სანაცვლოდაც, აფხაზური მხარე, წინასწარი მონაცემებით, ქართულს გადმოსცემს პაატა ჩალიის და ვიტალი გახოკიძეს.(შესაძლოა ტყვეთა რაოდენობა ადგილზე შეიცვალოს).

ტყვეთა გაცვლის პროცესს ქართული მხრიდან ესწრებიან უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე ა.იოსელიანი, ზემოთ აღნიშნული კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი კოტე მგალობლიშვილი და მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე ვლ.დობორჯგინიძე, რომლებიც გუშინ გაემგზავრნენ თბილისიდან. აფხაზური მხრიდან – უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა მოძიების კომისიის თავმჯდომარე კაკალია და სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე ცარგუში. (იფრინდა)

## ეს სწრაფვა ახალი არ არის

როგორც აფხაზ სეპარატისტთა ახლადდანიშნულმა პრემიერმა ს. ბაგაფშმა განაცხადა: ეკონომიკური სანქციები რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ხალხს უსამართლოდ მიაჩნია, ვინაიდან აფხაზეთი ისწრაფვის რუსეთთან ინტეგრაციისაკენ და ეს პოზიცია ურყევია.

## თუ არძინბამ განაცხადა...

ქართველი მხარის პრეტენზიები რიგითი სამშვიდობო ძალების, როგორც ყოფილი,ასევე ამჟამინდელი ხელმძღვანელობის მიმართ სრულიად უსაფუძვლოა – განაცხადა ვლადისლავ არძინბამ. სამშვიდობო ძალებს არა აქვთ უფლება აკეთონ იმაზე მეტი, რაც განსაზღვრულია მანდატში. აფხაზეთი არასდროს დაეთანხმება სამშვიდობო ძალების მანდატის გაფართოებას, – დასძინა მან.

## მუშა ჯგუფი თბილისშია

გუშინ, თბილისს ოფიციალური ვიზიტით ეწვია დსთ-ს ქვეყნების სამხედრო საკოორდინაციო შტაბის უფროსის მოადგილე ვიქტორ ზავარზინი მუშა ჯგუფთან ერთად. საქართველოსა და რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, იგი ახლახანს დაინიშნა იმ სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელად, რომელიც უხელმძღვანელებს დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების 28 მარტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების რეალიზებას. კერძოდ, კონფლიქტის მხარეებთან შეთანხმებით, შეიმუშავებს სამშვიდობო ოპერაციის გაფართოების სამხედრო გეგმას. ჯგუფი წარმომადგენლობითია და უკვე შეუდგა მუშაობას. ამ საქმიანობის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს დღევანდელი ვიზიტიც, რომლის დროსაც დაზუსტდება აღნიშნული გეგმის დეტალები. მოსალოდნელია ვ.ზავარზინისა და მუშა ჯგუფის მოგზაურობა უსაფრთხოების ზონაში, ასევე შეხვედრა სამშვიდობო ძალების სარდალთან დ.ბაბენკოვთან. (იფრინდა)

# კორუფციის ფორმულა

მესამე გვერდიდან

კლანების მონოპოლიაში, ანუ მაფიოზურ „ოჯახ-ში" არ გადაიზარდოს. ჩვენთან კი რა მდგომარეობაცაა, კარგად მოგეხსენებათ. ისეთი ანეგდოტური შემთხვევაც კი იყო, რომ ერთხელ სარფის საბაჟო ფაქტიურად დაიკეტა ასლან აბაშიძის ცოლის ნათესავის დაკრძალვის გამო - საბაჟოს მთელი პერსონალი (ასევე ნათესავები) გასვენებაში იყო წასული. და საერთოდ: თუ „ზემოთ" კაცი არა გყავს, ჯობია საქმეს ხელი საერთოდ არ მოკიდო - როგორც კი რაღაც სერიოზულს დააპირებ, ადმინისტრაციულ-მაკონტროლებელი ორგანოები ისევე გამოგწოვენ სისხლს, როგორც ადრე „თოფიანი კაცები". ნებისმიერი ბიზნესის წამომწყები საქართველოში გარკვეულ წილს შემოსავლიდან სწორედ ამ ორგანოთა მუშაკებს უხდის. მას სხვა გზა არცა აქვს, რამდენადაც არსებული კანონმდებლობის ფარგლებში უბრალოდ არ გააჩნია კანონიერად გამდიდრების საშუალება. თუ მთავრობაში ახლობელი არა გყავთ, წილის მოსურნეთა რაოდენობა იმდენია, ყველას ვერ დააკმაყოფილებ და იძულებული გახდები საერთოდ შეწყვიტო საქმიანობა.

„ესე წილი ბიზნესისაი" ჰქმნის ჩაკეტილ სისტემას: ქრთამი - პოსტი - წილი. თანამდებობა ფულია, ამიტომ თანამდებობა ფული ღირს. სწორედ ასეთი მაფიოზური ურთიერთობები განაპირობებს კორუფციის ყოვლისმომცველობას. ბიუროკრატია დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტი კომერციული სტრუქტურა მოაქციოს თავისი გავლენის სფეროში, და, აქედან გამომდინარე, რაც უფრო ხელისშემშლელი იქნება საკანონმდებლო ბაზა თავისუფალი ბიზნესისთვის, მით უკეთესი მათთვის. ასევე კომერციული სტრუქტურების სასიცოცხლო აუცილებლობა ხდება, რაც შეიძლება გავლენიანი მფარველი დაიგულონ, წვრილ-წვრილმა წურბელებმა რომ აღარ შეაწუხონ და საკანონმდებლო ბარიერებსაც მშვიდად აუარონ გვერდი. რა თქმა უნდა, ამ პირობებში ოცნებაც კი არ შეიძლება წვრილი და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, არადა ცივილიზებულ ქვეყნებში (აშშ, გერმანია, საფრანგეთი და სხვ.) ეროვნული შემოსავლის 80%-ზე მეტი სწორედ წვრილ და საშუალო ბიზნესზე მოდის. მსხვილი მონოპოლიების ეპოქა კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა. ისიც უნდა ითქვას, რომ თვით ყველაზე გავლენიანი ქართული ფირმების მოხსენიებაც „დიდი ბიზნესის" კონტექსტში, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული იქნებოდა. მათი საქმიანობის არეალი მაინც ლოკალურია და ადგილობრივ მასშტაბებს არ ცილდება. ასეა თუ ისე, საქართველოში აშკარად დომინირებს ნათესაურ-წილობრივი პრინციპით „ხელისუფლებასთან შეკრული" გავლენიანი ფირმები, რომლებიც აბსოლუტურად არ არიან დაინტერესებულნი არსებული მდგომარეობის შეცვლით. პირიქით, მათ სწორედ ასეთი ვითარება აწყობთ.

## ჩაკეტილი წრე

ერთი შეხედვით, გამოსავალი არც ჩანს. მსხვილი ბიზნესისა და ხელისუფლების ურთიერთსარგებლიანი ალიანსის „ქვემოდან" დაშლა შეუძლებელია, რადგან ფულიც და ძალაუფლებაც მათ ხელშია, „ზემოთ" კი იმ ტოტს არავინ მოჭრის, რომელზედაც თვითონვე ზის. მოკლედ, ქვედაფენებს არ შეუძლიათ, ზედაფენებს არ სურთ. რაც შეეხება დასავლელ ინვესტორებს, მათთვის ბიზნესისა და ხელისუფლების ამგვარი სიმბიოზი ხელსაყრელიც კია - ინვესტორისთვის მთავარია გარანტიები, ყველაზე საიმედო გარანტი კი ძლიერი ხელისუფლებაა. ჩვენს პრივილეგირებულ ბიზნესმენებს უყვართ უცხოელ პარტნიორებზე მითითება: ჩვენთან ამდენი და ამდენი საზღვარგარეთული ფირმა თანამშრომლობს, იმიტომ, რომ კარგად ვმუშაობთ. სინამდვილეში „კარგი მუშაობა" აქ არაფერ შუაშია. უბრალოდ უცხოური ფირმა, როგორც წესი, საქმიან პარტნიორებს ადგილობრივი ხელისუფლების რეკომენდაციებით ირჩევს. აღარაფერს ვამბობ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ტიპის ორგანიზაციებზე, რომლებიც თავად წარმოადგენენ ბიუროკრატიულ სტრუქტურებს და უშუალოდ მთავრობასთან აქვთ საქმე.

კაცმა რომ თქვას, ამ მხრივ საქართველოში ახალი არაფერი ხდება. განვითარებადი ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა ზუსტად იგივე სქემაში ჯდება და კორუფციის ფორმულა: მოწილე ბიუროკრატია + საწილე ბიზნესი = საზოგადოების კრიმინალიზაცია, ყველასთვის საერთოა. აბსოლუტურად არა აქვს მნიშვნელობა, თოფოსანთა მომძლავრებაში იქნება გამოხატული ეს კრიმინალიზაცია თუ სამთავრობო სტრუქტურების კორუმპირებულობაში. მთავარია, რომ კანონის დარღვევა ცხოვრების წესი ხდება. ამიტომაცაა ეს განვითარებადი ქვეყნები სულ განვითარებადობის სტადიაში რომ არიან და ვერაფრით ვერ ვითარდებიან. „ბიზნესწილზე" დაფუძნებული საზოგადოება ავტომატურად გამოიცხავს განვითარებას: ამისთვის, უბრალოდ, არავის ცხელა - შემოსავლის უდიდესი ნაწილი უცხოური ინვესტიციებითურთ ამა ქვეყნის ძლიერთა ოჯახების კეთილდღეობას ხმარდება. გარდა ამისა, არსებული მდგომარეობის შენარჩუნება საჭიროებს დემოკრატიული ინსტიტუტების (თავისუფალი მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.), როგორც ხელისშემშლელი ფაქტორის შეზღუდვას და ხელისუფლებას ავტორიტარიზაციას (შემთხვევითი არ არის, რომ ამ „განუვითარებლად განვითარებად ქვეყნებში" სწორედ ავტორიტარული მმართველობაა. შორს რომ არ წავიდეთ, სანიმუშოდ ჩვენი მეზობლები, სომხეთი და აზერბაიჯანიც გვეყოფა). საბოლოო ჯამში, როცა ქონების გადანაწილების პროცესი მეტ-ნაკლებად დასრულებულ სახეს ღებულობს, საზოგადოება ყალიბდება ორ ფენად: ა) მცირეოდენი რჩეულნი, ვისაც ყველაფერი აქვს და ყველაფერი შეუძლია; ბ) მრავალრიცხოვანი მასა, ვისაც ბევრი არაფერი გააჩნია და არც არაფერი ძალუძს. თუმცა, „სახრავი ძვალი" უბრალო მოკვდავთათვისაც მოიძებნება: გარკვეულ ფარგლებში მათ ასევე ეძლევათ უკანონობის ინდულგენცია, „ჩალიჩის" და „პურის ფულის შოვნის" უფლება ყველას აქვს, ხოლო ვინც თავს გამოიჩენს, შესაძლოა ნომენკლატურაში გადანაცვლების შანსიც გაუჩნდეს. ასე, ამგვარად, თითქმის მთელი საზოგადოება აღმოჩნდება თამაშში ჩათრეული. ასეთი ცხოვრება თითქმის არავის მოწონს, მაგრამ თითქმის ყველას აწყობს.

როგორც ვხედავთ, საკმაოდ ნაცნობი სურათია და ეს არცაა გასაკვირი. ყველა ავტორიტარული რეჟიმი ერთმანეთს ჰგავს, ხოლო ყველა დემოკრატიული ქვეყანა თავისებურად დემოკრატიულია: ამ მხრივ თურქმენეთსა და კუბას შორის გაცილებით ნაკლები სხვაობაა, ვიდრე, ვთქვათ, გერმანიასა და საფრანგეთს შორის. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენთან თითქოს ყველა პირობაა იმისთვის, რათა კლანურ-ავტორიტარული სისტემა ჩამოყალიბდეს, მაგრამ აქ რამდენიმე ხელისშემშლელი ფაქტორიც მოქმედებს.

## ავტობუსის მოლოდინში

ევროპული „ველური კაპიტალიზმისგან" განსხვავებით, ქართული კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება სულ სხვა ისტორიულ პირობებში მიმდინარეობს. ასი წლის წინ არცერთ ევროპელ ინტელექტუალს სიზმრადაც არ მოლანდებია ისეთი რამ, რასაც დღეს პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას ეძახიან. თანამედროვე საქართველოს ეკონომიკური განვითარება დიდწილად სწორედ პოსტინდუსტრიულ ქვეყნებზეა დამოკიდებული, რომელთაც ფულთან ერთად საკუთარი „თამაშის წესებიც" მოაქვთ. ის სტრუქტურული გარდაქმნები კი, რასაც დასავლეთი სთავაზობს შევარდნაძეს, თავისი არსით ეწინააღმდეგება კლანურ ავტორიტარიზმს. გარდა ამისა, საქართველო პატარა ქვეყანაა, სადაც ყველა ყველას იცნობს, XIX საუკუნესთან შედარებით კი ასიათასჯერ გაიზარდა ინფორმაციის მიღება-მიწოდების სისწრაფეც და არეალიც. ასე რომ, აქ „ჩრდილოვან ბიზნესმენთა" მაქინაციების საიდუმლო პოლიშინელის საიდუმლოებაა - არა არს დაფარული, რაიც არ გაცხადდეს. მითუმეტეს, რომ „ერთი მუჭა კაპიტალისტებისა" და „მშრომელთა ფართო მასების" კლასიკურ ოპოზიციას შორის უკვე დგას „ვიღაც მესამე" - პოსტინდუსტრიული დასავლეთის „მეხუთე კოლონა", დამოუკიდებელი მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სახით. რასაკვირველია, დასავლეთი ქართული დემოკრატიის გულისთვის თავს არ მოიკლავს, მაგრამ გარკვეულ ზემოქმედებას მაინც მოახდენს, „რუსთავი-2"-ის დაბრუნება ეთერში ამის თვალსაჩინო მაგალითია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შევარდნაძისთვის „დემოკრატი პრეზიდენტის" იმიჯს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს (განსხვავებით, ვთქვათ, ალიევისგან თუ ნაზარბაევისგან), რამდენადაც დასავლეთის თვალში ეს იმიჯი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კაპიტალია.

თუმცა, ვერც პრეზიდენტის პრაგმატულობა, და, ამ პრაგმატულობიდან მომდინარე თავისუფალი პრესისა და არასამთავრობო ორგანიზაციების „წონა", ვერც ის, რომ ქონების გადანაწილების პროცესი საქართველოში ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ვერ შეუშლიდა ხელს პოლიტიკური სისტემის ავტორიტარიზაციას, რომ არა შევარდნაძის მმართველობის სტილი. ურთიერთდაპირისპირებულ დაჯგუფებათა კონფლიქტზე თამაში, მათი ერთდროული წახალისება და ერთმანეთთან შეჯახება, ისე, რომ მედიატორად ყოველთვის პრეზიდენტის ფიგურა გამოჩნდეს, თანამედროვე ქართული ყოფის რეალობაა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა გავლენიანი დაჯგუფება ცდილობს შევარდნაძეზე უფრო შევარდნაძისტად გამოჩნდეს, „თეთრი მელა" არ დაუშვებს რომელიმე პოლიტიკური ძალის თუ „მოწილე კლანის" ზედმეტად გაძლიერებას. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ თვით „შევარდნაძეების კლანზე" (ფაქტია, რომ მისი ნათესავები დღეს არაერთი პრივილეგირებული ფირმის მესვეურებად გვევლინებიან), თუკი „ძალთა ბალანსის" დარღვევის საფრთხე შეიქმნა, „ოჯახის უფროსი" მათაც არ დაინდობს - თუ არ დაიჭერს, ყოველ შემთხვევაში, აღარ „გააგულავებს". თუმცა, ნაიურ-პოპულისტური „ვაცალოთ", „იმან იცის" და ა.შ. საუკეთესო შემთხვევაში ფუჭი ილუზიებია. სტილი, როგორც ცნობილია, თვით ადამიანია და ტრანსფორმაციას პრაქტიკულად არ ექვემდებარება. შედეგი ამგვარი ბალანსირების პოლიტიკისა ისაა, რომ პრეზიდენტის პოლიტიკური ქოლგის ქვეშ შეყუჟული, ერთმანეთს გადაკიდებული დაჯგუფებები მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელიან კონკურენტის „ჩასაქოლად". მარადიული მზისა ქვეშე არაფერია, და, თუკი ამჟამად არსებული ბალანსი არ დაირღვა, ადრე თუ გვიან, როცა შევარდნაძის პიროვნული ფაქტორი მოიხსნება, საქართველოში ისეთი ამბები დატრიალდება, დედა შვილს არ აიყვანს ხელში.

ასე რომ, „შევარდნაძის ფაქტორი" მხოლოდ დროებითი დაბრკოლებაა. ეს არ არის „დემოკრატიული არჩევანი". ყოვლისშემძლე კლანებისა და ყოვლისმომცველი კორუფციის წინააღმდეგ საგრძნობი დარტყმა იქნებოდა მხოლოდ სტრუქტურული გარდაქმნები: ბიუროკრატიული აპარატის, მაკონტროლებელი ორგანოების მკვეთრი შემცირება, სასამართლო რეფორმის ფორსირება, საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია და ა.შ. მაგრამ რომ გაარკვიო, რა ქნა, უნდა იცოდე, რა გინდა. ხელისუფლებას კი აშკარად არა აქვს გარკვეული სტრატეგიული ორიენტირები: როგორი საზოგადოება შენდება საქართველოში - პოსტინდუსტრიული, ინდუსტრიული, ტრადიციონალისტური თუ ანარქისტული? რა არის პრიორიტეტული - მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ინფორმატიკა თუ პოეზია უპირველეს ყოვლისა? რა თქმა უნდა, ნავთობსადენი და „აბრეშუმის გზა" ძალიან კარგია, მაგრამ მთლიანობაში, სახელმწიფო განვითარების კონცეპტუალური გააზრების გარეშე ნავთობსადენი ერთი გრძელი მილია, ევროაზიული დერეფანი კი „პრახადნოი დვორი". თუ იცი, საით მიდიხარ, როგორმე გზასაც აირჩევ, გინდ უმოკლესს, გინდ შორიდან მოსავლელს. ჩვენს კი თითქოს უღრანში დავხეტიალობთ და თავს იმით ვიმშვიდებთ, მალე მშენებლები ტრასას გაჭრიან, რეისი დაინიშნება, ჩამოივლის ავტობუსი და პირდაპირ გაშლილ სუფრასთან მიგვიყვანსო...

საერთოდ, სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტები ცალკე საკითხია და სერიოზულ განხილვას მოითხოვს. ამ თემაზე წესით გაცხოველებული დისკუსია უნდა მიმდინარეობდეს, რამდენადაც ეს ასჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იმაზე მკითხაობა, პრორუსული ორიენტაციის კაცია შევარდნაძე თუ პროდასავლურის. ჯერჯერობით კი ვართ ასე გაურკვევლად, „ედუარდ სტაბილიზატორის" ძალისხმევით დაწყნარებულ-დაბალანსებულ სიტუაციაში, ვლაპარაკობთ რაღაც ანონიმურ კლანებზე თუ მაფიებზე (პურის მაფია, ბენზინის მაფია, დენის მაფია და ა.შ.), ვებრძვით კორუფციას ძველი, „ზასტოური" ღონისძიებებით და ველოდებით ივერიის გაბრწყინებას. ის, რომ კლანური ავტორიტარიზმის ფორმირება ფერხდება, სულაც არ ნიშნავს, რომ ასეთი საფრთხე არარეალურია, სანამ კორუფციის ფორმულა მოქმედებს, სანამ მოწილე ბიუროკრატია და საწილე ბიზნესი არსებობს, საზოგადოების კრიმინალიზაციის საფრთხეც ყოველთვის რეალური იქნება. ამჟამინდელი სტაბილიზაცია, როგორც უკვე ვთქვით, მხოლოდ დროებით დაბალანსებული დესტაბილიზაციაა და მომავალში კიდევ ერთი დიდი არეულობა რომ არ დაიწყოს, აუცილებელია უმაღლესი ხელისუფლების ცვლამ არ გამოიწვიოს პოლიტიკური კატაკლიზმები. ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის სტაბილურობის უმთავრესი მახასიათებელი სწორედ ესაა და არა ის, რომ ღამით უშიშრად შეიძლება სეირნობა. ასეთ სტაბილურობას კი „ბიზნეს-წილით" მოსულდგმულე საზოგადოება ვერასდროს ეღირსება. ამჟამინდელი ხელისუფლებისგან ძნელი წარმოსადგენია შიდაპოლიტიკური სტრატეგიის პრიორიტეტთა გამოკვეთა, ამიტომ არსებულ ვითარებაში არცთუ უმნიშვნელო როლს თამაშობენ არასამთავრობო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი მედია. მეტიც, სარგებლობენ რა დასავლეთის მხარდაჭერით, მათ შეუძლიათ მოახდინონ არამარტო ცალკეულ საკანონმდებლო ინიციატივათა ლობირება, არამედ უფრო აქტიურადაც ჩაერთონ პოლიტიკურ პროცესებში, მხარი დაუჭირონ პოლიტიკურ ელიტაში შედარებით რეფორმისტულ ძალებს, რომელთა გამარჯვებაც მინიმუმამდე დაიყვანდა კლანური ავტორიტარიზმის პერსპექტივას. ძნელი სათქმელია, რამდენად რეალურია ასეთი შანსი, მაგრამ ერთმანეთს ჩასაფრებულ ბანაკთა დროებითი ზავი რომ მრავალჟამიერ არ გასტანს, ცხადზე უცხადესია. „პოსტშევარდნაძისტულ" ხანამდე არც ისე დიდი დრო რჩება. ყოველგვარი ბალანსირებული დაპირისპირება კი ბოლოს დისბალანსით მთავრდება. ვიღაც აუცილებლად გაიმარჯვებს. მთავარია, ვინ.

**დათო ზურაბიშვილი**

---

## ქრონიკა

### კულიკოვი მასხადოვს ემუქრება

რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ანატოლი კულიკოვი აპირებს პრეზიდენტი ასლან მასხადოვი გადასცეს სასამართლოს ცილისწამებისათვის. მასხადოვი კულიკოვს ადანაშაულებს ჩეჩნეთში სიტუაციის გართულებაში, რასაც შეიარაღებული კონფლიქტი მოჰყვა.

### ჩილეს ხელისუფლებისაგან კომპენსაციას ითხოვენ

ჩილეს ყოფილი პრეზიდენტის ალიენდეს 20 წლის წინ გარდაცვლილი მრჩევლის, დოქტორ პარისის ოჯახი ჩილეს ხელისუფლებისაგან კომპენსაციის სახით მილიონ დოლარს ითხოვს. ისინი აცხადებენ, რომ 1973 წ. გადატრიალების შემდეგ დოქტორი პარისი მოკლეს.

### მიწისძვრა ირანში

ირანში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომლის შედეგად ყველაზე მეტად აღმოსავლეთის პროვინციები დაზარალდა. უბედურების ზონაში ხელისუფლებამ 350 სამაშველო ჯგუფი გაგზავნა, სადაც სამედიცინო პერსონალის თქმით, სისხლის ნაკლებობაა. ირანის მთავრობამ დასახმარებლად საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართა. თხოვნას პირველი საფრანგეთი გამოეხმაურა: მან 40 ტონა ტვირთი გაგზავნა ირანში. თავად საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ოთხშაბათს ჩინეთს გაემგზავრება. ვიზიტის მიზანია ეკონომიკური საკითხების განხილვა.

### გაიტაცეს სამი ჟურნალისტი

ბაქო-როსტოვის გზატკეცილზე, რომელიც ცნობილია სახელწოდებით - კავკასიის ფედერალური გზა, ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა იარაღის გამოყენებით გაიტაცეს რუსეთის ფედერაციის სამი ჟურნალისტი. ჩეჩნეთის პირველმა ვიცე-პრემიერმა ბოროტმოქმედთა საქციელი მკაცრად გააკრიტიკა. მისი თქმით, აღნიშნული ფაქტი მოსკოვსა და გროზნოს შორის დაწყებული მოლაპარაკების ჩიხში მოქცევის მცდელობაა, ხოლო ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მაყაშოვმა გამოთქვა რწმენა, რომ გატაცებული ჟურნალისტები მისი სამინისტროს მეშვეობით ახლო მომავალში გათავისუფლებულნი იქნებიან.

ჟურნალისტების ბედი ჯერჯერობით გაურკვეველია.

### მასხადოვი სამშობლოში დაბრუნდა

ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ასლან მასხადოვი ოფიციალურ პირებთან და ჩეჩნეთის დიასპორასთან შეხვედრის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. ვიზიტად ყოფნის დროს პრეზიდენტმა მასხადოვმა და პრეზიდენტმა ელცინმა ხელი მოაწერეს რუსეთ-ჩეჩნეთის მშვიდობიანი ურთიერთობის დოკუმენტს, რომელიც სხვასთან ერთად ითვალისწინებს ერთობლივ ბრძოლას ტერორიზმის წინააღმდეგ.

### შეიარაღებული შეტაკება

დაღესტნის რესპუბლიკის ორ ისლამურ რელიგიურ ნაკადს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა. ხელისუფლებამ ამ დროისათვის შეძლო დაპირისპირებულთა დაშორება. ადგილობრივ შინაგან საქმეთა ორგანოს ეხმარებიან სპეცნაწილები.

### პელე მოითხოვს...

ბრაზილიაში სკანდალური სიტუაცია შეიქმნა. ქვეყნის ორი წამყვანი საფეხბურთო გუნდის პრეზიდენტები მხილებულნი არიან რამდენიმე წინასწარ შეთანხმებული მატჩის ორგანიზებაში. სკანდალში ბრაზილიის მსაჯთა ორგანიზაციის ხელმძღვანელიცაა გარეული. ბრაზილიის სპორტის მინისტრმა, პელემ მოითხოვა მათი დაპატიმრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სატირისა და იუმორის გვერდი — წუთშესვენება

ზაურ ბოლქვაძე

## კალეიდოსკოპი

### მკითხველი მიყვარს!

მკითხველი მიყვარს, მის მზეს ვიფიცებ
და ყველა დონის მკითხველისთვის ვწერ!

* * *

ცრემლ-სიცილს ვხმარობ მელნადა,
ვწერ მსუბუქადაც, მძიმედაც,
...დიდსა ვერა ვკლავ, ხელად მაქვს
ხოცვა ნადირთა მცირეთა!..

* * *

ვისაც ლანძღავს მასმედია,
მასის ნდობა მას მეტი აქვს!

* * *

მტრის ჯავრს რომ შეჭამ, თავს რომ მოიჭრი,
მერე იბრძოლე სამშობლოისთვის!

### პარადოქსი

ჭეშმარიტება კამათში კვდება! –
დამნაშავენი ამაში ჩვენ ვართ!

### ზოგ-ზოგებს

ჩემს სიკვდილს, ვიცი, რომ ელოდებით,
მაგრამ, ბოდიში, ჯერ ვერ მოვკვდები!

### რაციონალური წინადადება

გამოვცეთ უფრო მეტი გაზეთი
და გაზეთებით მაინც გავძღებით!

### ფსევდოავანგარდისტი

ის არის ფსევდოავანგარდისტი
და ქმნილებები არ ვარგა მისი!

### „გასტროლიორ“ ქართველ მეძავს

ხარ თურქეთში, სხეულს ყიდი,
შემოსავალი გაქვს დიდი!
მიდი, მიაწექი, მიდი,
გადმოფრინდი, გადაფრინდი!..

* * *

„ერთ მუშტად შევიკვრათ, ქართველებო!“
გაზეთებიდან

დაქსაქსულები ერთურთს ვჭამთ,
ერთურთით ვიხსნით მადასა,
რომ შევიკვრებით ერთ მუშტად,
ერთმანეთს უფრო არ დავჭამთ?!




მ. აბაშიძის ნახატი

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა



*მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ არის გავრცელებული ანეკდოტური ჟანრი, რომელიც თურქულ სამყაროში ხოჯა ნასრედინის ანეკდოტებადაა ცნობილი, აზერბაიჯანულში – მოლა ნასრედინისად და ა.შ.*

*ბევრი ენთუზიასტი სოფელ-სოფელ აგროვებდა ამ ხალხურ საუნჯეს, მათ შორის ცნობილია XIX საუკუნის გამოჩენილი თურქი მწერალი მეჰმედ თევფიქი, რომელმაც უამრავ მასალას მოუყარა თავი და გამოსცა კიდეც რამდენიმე წიგნად; ამასთან, თავად შექმნა მან ციკლი ანეკდოტებისა – ბუ ადამი (Bu Adam – ეს კაცი) და შემდგომ წიგნადაც გამოსცა იგი. ბუ ადამი ერთობ პოპულარული გახდა თურქეთში; მწერლისმიერი ანეკდოტები მაშინვე აიტაცა ხალხმა, შეისისხლხორცა, თავისად აქცია.*

*გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს:*

* * *

ერთხელ, ბუ ადამი თან მღეროდა და თან გარბოდა:

– რად გარბიხარო, – ჰკითხეს.

– მე მითხრეს, შენი ხმა შორიდან ტკბილად ისმისო; მეც ვმღერი და თან გავრბივარ, რომ ჩემი ხმა შორიდან მოვისმინოო, – უპასუხა.

* * *

ერთხელ, ჯეელობაში, ბუ ადამი ქორწილში მოხვდა:

– მადა თუ გაქვსო, – ჰკითხეს.

– მადის მეტი რა უნდა ჰქონდეს ისეთ ღარიბლატაკს, როგორიც მე ვარო, – უპასუხა.

* * *

ბუ ადამმა ტყუილი ხმა გაავრცელა, თითქოს მას შეეძლო სხვათა აზრების გამოცნობა; დაიჭირეს და მოსამართლესთან მიაბრძანეს:

– ამბობენ, – უთხრა ყადიმ, – თითქოს შენ სხვათა აზრების ამოცნობა შეგიძლია; თუ ასეა, აბა, ერთი მითხარი, რას ვფიქრობ ახლა მე?

– შენ ფიქრობ, – მიუგო ბუ ადამმა, – რომ შენს წინაშეა პლუტი და მატყუარა.

* * *

ბუ ადამი მამასთან ერთად დაკრძალვის პროცესიას გადაეყარა:

– სად მიჰყავთო მიცვალებული, – ჰკითხა შვილმა მამას.

– შვილო, ეგ ისეთ ადგილას მიჰყავთ, სადაც არც საჭმელია, არც სასმელი, არც ჩასაცმელი და, ერთი სიტყვით, არაფერი არ არის.

– ფრთხილად მამა, – უთხრა ბუ ადამმა, ჩვენსა არ მიიტანონ.

* * *

ერთხელ, როდესაც პატარა ბუ ადამი კისერზე ჯუზჩამოკიდებული (ყურანის ჩასადები ჩანთა) სკოლისაკენ მიცუნცულებდა, ფადიშაჰს გადაეყარა. გადაცმული ფადიშაჰი სასეირნოდ იყო გამოსული. მბრძანებელმა შეატყო ბავშვს, რომ გონებაგახსნილი იყო და გაუბა საუბარი:

– შვილო ჩემო, საითკენ გაგიწევია?

– სკოლისკენ, – უპასუხა.

– აი, გამომართვი ეს ოქროს ფული და ტკბილეულობა იყიდე შენთვის.

– მამაჩემმა შემთხვევით თვალი რომ მოკრას ფულს და მკითხოს, ეს საიდანაო?.. ცემით მომკლავს.

– აიღე, ნუ გეშინია, თუ მამაშენი შეგეკითხება, უთხარი, ფადიშაჰმა მიბოძა-თქო და არაფერს გიზამს.

– მამაჩემი არ დამიჯერებს.

– როგორ თუ არ დაგიჯერებს!

– აი, ისე; ფადიშაჰები თითო ოქროს არავის აძლევენ, თქვენ თუ მე ამ ჩანთას, კისერზე რომ მკიდია, ოქროებით გამივსებთ, მაშინ კიდევ შეიძლება...

ფადიშაჰს მოეწონა ბავშვის გამჭრიახობა, გაუვსო ჩანთა ოქროს ფულებითა და სახლში გაისტუმრა.

* * *

ბუ ადამმა ჯეელობაში, რამაზანის მარხვის დღეს ბლომად ღვინო ყლურწა, დაიჭირეს და ყადის მიჰგვარეს.

– რად ჩაიდინე ეს საქმე? – ჰკითხა მკაცრად ყადიმ.

– უკაცრავად რომ არ გახლდეთ, დღეს ზომაზე მეტი საჭმელი გეახელით, ადვილად რომ მომენელებინა, იძულებული შევიქენი ღვინოს მივძალებოდი.

* * *

ბუ ადამი ახლადდაქორწინებული იყო. ჰყავდა ამხანაგი, რომელსაც ყურთ საკმაოდ აკლდა და აი, ერთ დღეს, როცა ყრუ შეხვდა, ბუ ადამს, ჰკითხა:

– ძმაო, გავიგე დაქორწინებულხარ!..

– შე კაცო, შენ თუ საერთოდ არაფერი გესმის, ეს ამბავი როგორღა გაიგეო.

* * *

ჯეელობაში ბუ ადამი ომში იბრძოდა. იმ დროის წესთა მიხედვით მებრძოლს შუბზე უნდა წამოეგო და ბრძოლის ველიდან გამოეტანა მის მიერ მოკლული მტრის თავი...

შეხედეს, მოდის ბუ ადამი და შუბზე მოკლული მტრის თავი კი არა, ფეხი წამოუცვია:

– შენ მოკალი ამ ფეხის პატრონიო? – ჰკითხეს.

– დიახ, მე.

– მაშ მტრის თავი რად არ გამოიტანე ბრძოლის ველიდან?

– ვიდრე მოკლულს მივუსწრებდი, თავი მოკვეთეს და სხვებმა წაიღესო, – უპასუხა.

* * *

ერთხელ, ბუ ადამის მამამ სახლში სამი თევზი მიიტანა. დედამ შეწვა თევზები, მაგრამ მაგიდაზე მხოლოდ ერთი მოიტანა, დანარჩენი ორი კი მაგიდის ქვეშ დამალა.

ბუ ადამმა ეს ყველაფერი დაინახა, მაგრამ არაფერი უთქვამს. დასხდნენ საჭმელად; ბუ ადამი მაგიდისკენ დაიხარა და რაღაცას ბუტბუტებს:

– ბიჭო, რა ბუტბუტი აგიტყდაო, – გაიკვირვა მამამისმა.

– მე თევზს წარღვნის შესახებ ვკითხე, – უპასუხა ბიჭმა.

– მერე რაო, რა გითხრა?

– რა მითხრა და: „მე ჯერ კიდევ პატარა ვარ, არ ვიცი; აი, მაგიდის ქვეშ რომ არიან, ისინი უფროსები გახლავან და მათ ჰკითხეო“, – მიუგო.

# • რა, როდის და რომელ არხზე

## ოთხშაბათი, 14 მაისი

**1** 7.30 ალიონი; 9.00 ტელესერიალი „კასანდრა“ (ვენესუელა); 18.00 საქართველოს ჩემპიონატის მატჩი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) – „თსუ–შევარდენი“; შესვენების დროს მოამბე; თამარს ვაქებდეთ მეფესა; 20.00 მოამბე; ვიდეოპატრული 02; 20.45 ბასტი–ბუბუს მულტი–პულტი; პროგრამა დღე; 21.20 ტელესერიალი „კასანდრა“ (ვენესუელა); 22.25 პანორამა წარმოგიდგენთ ამერიკულ მხატვრულ ფილმს „სკალპელი“; 0.00 თამარ გვერდწითელი; 0.40 ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი: „ბარსელონა“ (ესპანეთი) – „პარი სენ–ჟერმენი“ (საფრანგეთი); ქეიშის საათი

**2** 19.00 ინფორმაცია მეორე არხი; 19.20 მულტფილმები; სიყვარულის ისტორია; 20.20 ავსტრალიური ტელესერიალი „დაბრუნება ედენში“; 21.30 სარეკლამო ბლოკი და ინფორმაცია მეორე არხი; 22.10 ქართული მხატვრული ფილმი „იმერული ესკიზები“; დასასრულს – მუსიკალური გადაცემა.

**კავკასია** 11.00 ტანვარჯიში „შეიპინგი“; 11.30 მულტფილმები; 12.10 დოკუმენტური ფილმი; 13.00 ტელეკომპანია „მირ“; 13.30 ამერიკული მხატვრული ფილმი „გეკის დაბრუნება“; 15.15 სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“; 16.00 მრავალსერიანი ფილმი „ტვინ პიკსი“; 17.00 საინფორმაციო პროგრამა; 17.30 მულტფილმები.

**ОРТ** 7.00 დილა მშვიდობისა; 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 1.15 ნოვოსტი. 10.15 „გოგონა, სახელად ბედი“; 11.00 თემა; 11.40 ცხოველთა სამყაროში; 12.15 მულტფილმი; 12.30 გამოიცან მელოდია; 13.15 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „სამთა გული“; 14.10. მულტფილმი; 14.35 ისტორიის ბორბალი; 15.15 თეატრი ტვ; 15.55, 22.40, 1.25 გადაცემათა პროგრამა; 16.20 მულტსერიალი; 16.45 კაქტუსი და K; 16.55 დომი–სოლი; 17.15 ჯუნგლის ძახილი; 17.40 „ნიკო და მისი მეგობრები; 18.10 თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა; 18.35 სამყაროს გარშემო; 19.20 „გოგონა. სახელად ბედი“; 20.05 ამინდი; 20.10 პიკის საათი; 20.35 გამოიცან მელოდია; 21.00 რათა გვახსოვდეს... 21.45 ძილი ნებისა, პატარებო! 22.00 ვრემია; 22.45 მხატვრული ფილმი „ორმოცდამეერთე“; 0.30 მელოდიები „პესნია–96“–ის ფინალური პროგრამიდან; 1.25 პრეს–ექსპრესი; 1.40 „მთავარი ეჭვმიტანილი“.

**РТР** 8.00, 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 0.00 ვესტი; 8.15, 9.15 დილა მშვიდობისა; 10.00, 0,35 გადაცემათა პროგრამა; 10.05 ტელესერიალი „ხენდრო“; 10.35 L-კლუბი; 11.10 „სანტა–ბარბარა“; 12.15 თანამეგობრობა თანასაზოგადოება კავშირი; 12.45 გრაფომანი; 13.00 მუსიკალური კინოკომედია „ჯეკ ვოსმიორკინი – ამერიკული“, I სერია; 14.10 რეტრო–შლაგერი; 14.55 უძრავი ქონების მაღაზია; 15.25 პულსი; 15.50 ნოუ–ჰაუ; 16.05 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები; 16;45 რჩეულნი; 17.10 თქვენი უფლება; 17.25 ტელესერიალი „ხენდრო“; 18.15 ტამ–ტამ ნოვოსტი; 18.25 ლუკომორიე; 18.50 შეხედე საკუთარ თავს; 19.05 ადამიანები, ფული, ცხოვრება; 19.35 რუსები; 20.00 „სანტა–ბარბარა“; 21.35 საღამო მშვიდობისა; 22. 25 მუსიკალური მხატვრული ფილმი „ნემსები“; 0.30 ვარსკვლავთა წვიმა კანის ფესტივალზე; 0.40 ფეხბურთი თასების თასზე. ფინალი. „ბარსელონა“ (ესპანეთი) – „პარი სენ–ჟერმენი“ (საფრანგეთი); 2.30 კაფე ობლომოვი; 3.10 ღამის პროგრამა; 3.25, 3.40 პროდუქცია – ფოსტით.

**НТВ** 7.00, 11.00, 13.00 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 1.00 სევოდნია; 7.15, 8.15, 10.15 სპორტი; 7.25, 9.45 კრიმინალი; 7.35, 8.35 კარდანის ლილვი; 7.40 გრადუსნიკი; 7.45, 10.20 ისტორიული დღე; 7.50 ზღვარს მიღმა; 8.20 შოუ–ბიზნესის ახალი ამბები; 8.40, 10.45 მე– პირადი მცველი; 8.50 გაზეთების მიმოხილვა; 9.10, 10.25 ხარის საათი; 9.20 გამოსადეგი; 9.35 ფინანსები და ბიზნესი; 9.50 ცინცხალი გონებით; 10.35 რეტრო–ნოვოსტი; 10.50 კინოსიახლენი; 11.15 დილა; 11.30 „ქალბატონი ექიმი ქუინი“; 12.30 საბავშვო პროგრამა; 13.20, 17.20 ფული; 13.35 გამოსადეგი; 13.50 კომპიუტერი; 14.00 თქვენი ადვოკატი; 14.10 ტელეგაზეთი; 14.15 ორთოდოქსი; 14.35 ჟურნალთა ჟურნალი; 14.45, 2.00 ტელემაღაზია; 15.20 დიდი ვრემეჩკო; 16.05 „გაქნილი ჯოი“; 17.35 დისტანცია–60; 18.35 „ცისფერი ხე“; 19.30 საბავშვო პროგრამა; 20.40 დღის გმირი; 21.05 მხატვრული ფილმი „გატენილი თოფი“; 22.40 რუსული ალბომი; 23.45 „მაგარი უოკერი: მართლმსაჯულება ტეხასურად“; 0.40 ვრემეჩკო; 1.20 ღამის ვრემეჩკო; 2.10 მელომანია

## კაიფვორდი



მწოლიარედ: 1. საჭმელი არ ვარგა, ქალი კი კარგია; 4. „მცირე მიწის“ პატრონი გენსეკი; 8. გაჭირვებულს აღმართში რომ დაგეწევა; 9. „საამო“ ბეწვი „ამურისათვის“; 10. სიკეთით სავსე მეტროს სადგური; 12. ჭიების ინსტრუმენტი; 13. ზედ მჯდომი, რომ თვითონვე ჭრის; 14. პლანეტის „ცხრათვალა“ მოთვალთვალე; 17. იმედის ნათურა; 20. იგივეა, რაც ღმერთი; 22. „მდივნის“ წამოსაწოლი; 23. „ნებით ცაში“ ფრენა; 24. ქამრით ცემა–ტყეპა; 26. როგორც გაგწვდება, ისე რომ დაიხურავ; 27. ძეხვს რომ ვერ შესწვდა; 28. მარტოხელას კონცერტი; 29. მომღერალი მეოთხედი (სახელი); 30. ღვთაება, რომლის ნასროლი ისრები ჭრის და გვახარებს.

მდგომიარედ: 2. ნალები, „ჟანის“ რომ არ უყვარს; 3. ის, რასაც ოჯახში ცეცხლი უკიდია; 4. ავტორი ოპერისა, რომელიც „სამიოდე გროში“ ღირს; 5. „არკაში“ მძრომიალე ფრანგი რევოლუციონერი ქალი (სახელი); 6. პატარა კახელი, მაგრამ დიდი მეფე; 7.ჩამომხრჩვალი სანათური; 11. ცხრა ძმის ქონება; 13. ღორის აბაზანა; 15. „ავი“ შეთანხმება; 16. ხორბლის დაფქვისას მიცემული „ქრთამი“; 17. მარჯვენის საქმეს მარცხენით რომ აკეთებს; 18. „აბოს“ ცხენი; 19. „მადლის“ საზომი; 20. „გალიდან“ გამოქცეული ხუმარა; 21. სასმისი მისთვის, ვინც ფხიზელი „დარჩა“; 24. ორ ზღვას შორის ძელისძველად საომარი იყო ... 25.ლუკმის ჩასავარდნი.

ნუნუ ლოლაშვილი

## ხუთშაბათი, 15 მაისი

**1** 7.30 ალიონი; 9.00 ტელესერიალი „კასანდრა“ (ვენესუელა); 18.00 მოამბე; მერიდიანი; ჰიგია; 50/50; რამპა; 20.00 მოამბე; ვიდეოპატრული 02; ბასტი–ბუბუს მულტი–პულტი; პროგრამა დღე; 21.20 ტელესერიალი „კასანდრა“ (ვენესუელა); 22.00 ვესტნიკი; XX საუკუნე: დრო და ადამიანი; მრავალსახეობა; ნაცნობი სახეები – მიშიკო შენგელაია; 23.50 ქეიშის საათი.

**2** 19.00 ინფორმაცია მე–2 არხი; 19.20 მულტფილმები; სპორტული გადაცემა; ელიტარული ქრონიკა; ინტერვიუ; 20.20 ავსტრალიური ტელესერიალი „დაბრუნება ედენში“; 22.00 სარეკლამო ბლოკი და ინფორმაცია მე–2 არხი; 22.30 რუსული მხატვრული ფილმი „მხევლის ალსარება“; დასასრულს – მუსიკა.

**კავკასია** 11.00 ტანვარჯიში „შეიპინგი“; 11.30 მულტფილმები; 12.10 დოკუმენტური ფილმი; 13.00 ტელეკომპანია „მირ“; 13.30 ამერიკული მხატვრული ფილმი „პირველი დარტყმა“; 15.30 სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“; 16.00 მრავალსერიანი ფილმი „ტვინ პიკსი“; 17.00 საინფორმაციო პროგრამა; 17.30 მულტფილმები.

**ОРТ** 7.00 დილა მშვიდობისა; 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 1.00 ნოვოსტი; 10.15 „გოგონა, სახელად ბედი“; 11.00 რათა გვახსოვდეს... 11.40 მოგზაურთა კლუბი; 12.25 მულტფილმი; 12.40 სმაკი; 13.15 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „სამთა გული“; 14.10 მულტფილმი; 14.45 აშკარა–დაუჯერებელი; 15.15 თეატრი+TV; 15.55, 22.40, 2.10 გადაცემათა პროგრამა; 16.20 მულტსერიალი; 16.45 ჩუნგა–ჩანგას კუნძული; 17.10 ლეგო–გო! 17.40 „ნიკო და მისი მეგობრები“; 18.10 თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა; 18.35 სამყაროს გარშემო; 19.20 „გოგონა, სახელად ბედი“; 20.05 ამინდი; 20.10 პიკის საათი; 20.35 ჯენტლმენ–შოუ; 21.05 ჩემი ოჯახი; 21.45 ძილი ნებისა, პატარებო! 22.00 ვრემია; 22.45 მხატვრული ფილმი „პიანინო“; 0.15 მღერის ანდრეი დერჟავინი; 2.00 პრეს–ექსპრესი; 2.15 „მთავარი ეჭვმიტანილი“.

**РТР** 8.00, 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 ვესტი; 8.15, 9.15 დილა მშვიდობისა! 10.00, 0.35 გადაცემათა პროგრამა; 10.05 ტელესერიალი „ხენდრო“; 10.35 უსასრული მოგზაურობა; 10.10 „სანტა–ბარბარა“; 12.15 ფული. ფული, ცხოვრება; 12.45 გრაფომანი; 12.00 მუსიკალური კინოკომედია „ჯეკ ვოსმიორკინი – ამერიკელი“, II სერია; 14.10 ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში. ტრანსლაცია ბელგიიდან; 14.40 უფრო მეტი, ვიდრე ბედი... 14.55 უძრავი ქონების მაღაზია; 15.25 „კროკოდილი“ 75 წლისაა; 16.05 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები; 16.45 საუკუნის ზღურბლზე; 17.10 ბნელი სზაბურინისთვის; 17.25 ტელესერიალი „ხენდრო“; 18.15 ტამ–ტამ–ნოვოსტი; 18.25 ლუკომორიე; 18.50 შეხედე საკუთარ თავს; 19.05 თანამეგობრობა თანასაზოგადოება. კავშირი; 19.35 რუსები; 20.00 „სანტა–ბარბარა“; 21.35 საღამო მშვიდობისა; 22.20 მუსიკალური კინოკომედია „მუსიკალური ისტორია“; 0.30 ვარსკვლავთა კინოკომედია „მუსიკალური ისტორია“; 0.30 ვარსკვლავთა წვიმა კანის ფესტივალზე; 0.40 არენა სენსაციებისათვის; 1.05 თქვენი წერილების პასუხად; 1.50 ღამის პროგრამა; 2.05, 2.15 ტელემაღაზია;

**НТВ** 8.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00, 23,00, 1.00 სევოდნია; 7.15, 8.15, 10.15 სპორტი; 7.25, 9.45 კრიმინალი; 7.15, 8.15, 10.15 სპორტი; 7.25, 9.45 კრიმინალი; 7.35, 8.35 კარდანის ლილვი; 7.40, 10.20 ისტორიული დღე; 7.50 ზღვარს მიღმა; 8.20 შოუ–ბიზნესის ახალი ამბები; 8.40, 10.45 მე – პირადი მცველი; 8.50 გაზეთების მიმოხილვა; 9.10, 10.25 ხარის საათი; 9.20 გამოსადეგი; 9.35 ფინანსები და ბიზნესი; 10.35 რეტრო–ნოვოსტი; 10.50 კინოსიახლენი; 11.15 დილა; 11.30 „ქალბატონი ექიმი ქუინი“; 12.30 საბავშვო პროგრამა; 13.20, 17.20 ფული; 13.35 გამოსადეგი; 13.50 კომპიუტერი; 14.00 ღია სამყარო; 14.05 ნაბიჯი წრიდან; 14.25 რომანი პუბლიკასთან; 14.35 განდობა; 14.45, 2.00 ტელემაღაზია; 15.20 დიდი ვრემეჩკო; 16.05 „გაქნილი ჯოი“; 17.35 დისტანცია 60; 18.35 „ცისფერი ხე“; 19.30 საბავშვო პროგრამა; 20.40 დღის გმირი; 21.05 მხატვრული ფილმი „მეომრის ღამე“; 23.45 „მაგარი უოკერი: მართლმსაჯულება ტეხასურად“; 0.40 ვრემეჩკო; 1.20 ღამის ვრემეჩკო; 2.10 მხატვრული ფილმი „ახალი ტალღა“.

## პარასკევი, 16 მაისი

**1** 7.30 ალიონი; 9.00 ტელესერიალი „კასანდრა“ (ვენესუელა); 18.00 მოამბე; მესაკუთრე; დალი ფანჯიკიძე; 50/50; 20.00 მოამბე; ვიდეოპატრული 02; ბასტი–ბუბუს მულტი–პულტი; ასპარეზი; პრეს–სტუდია; 22.00 ვესტნიკი; 22.20 ლატარია ყველასათვის; მამია ხატელიშვილი; ტელე–სინე–ვიდეო; 23.50 ქეიშის საათი.

**2** 19.00 ინფორმაცია მეორე არხი; 19.20 მულტფილმები; სპორტული გადაცემა; 20.20 ავსტრალიური ტელესერიალი „დაბრუნება ედენში“; 21.30 სარეკლამო ბლოკი და ინფორმაცია მეორე არხი; 22.00 ამერიკული მხატვრული ფილმი „მარტოხელა გმირი“; დასასრულს – მუსიკა.

**კავკასია** 11.00 ტანვარჯიში „შეიპინგი“; 11.30 მულტფილმები; 12.10 დოკუმენტური ფილმი; 13.00 ტელეკომპანია „მირ“; 13.30 ამერიკული მხატვრული ფილმი „ჯეფრი“; 15.20 სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“; 16.00 მრავალსერიანი ფილმი „ტვინ პიკსი“; 17.00 საინფორმაციო პროგრამა; 17.30 მულტფილმები.

**ОРТ** 7.00 დილა მშვიდობისა; 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 0.55 ნოვოსტი; 10.15 „გოგონა, სახელად ბედი“; 11.05 ჩემი ოჯახი; 11.40 სანამ ყველა შინაა; 12.20 მულტფილმი; 12.25 დაუკარ, გარმონო! 13.15 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „სამთა გული“; 14.10 მულტფილმი; 14.45 ჯენტლმენ–შოუ; 15.15 თეატრი+TV; 15.55, 22.40 გადაცემათა პროგრამა; 16.20 მულტსერიალი; 16.45 ფილმი–ზღაპარი „ქვის ყვავილი“; 18.05 თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა; 18.30 „მაგია: ზებუნებრივი სამყარო“; 19.20 „გოგონა, სახელად ბედი“; 20.05 ამინდი; 20.15 ადამიანი და კანონი; 20.45 პოლე ჩუდეს; 21.45 ძილი ნებისა, პატარებო! 22.00 ვრემია; 22.45 მხატვრული ფილმი „რექვიემი ჩამოვარდნილი ვარსკვლავისთვის“; 0.10 ვზგლიადი; 1.10 მხატვრული ფილმი „ტაქსი–ბლიუზი“; 3.05 პრეს–ექსპრესი.

**РТР** 8.00, 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 ვესტი; 8.15, 9.15 დილა მშვიდობისა; 10.00, 0.35 გადაცემათა პროგრამა; 10.05 ტელესერიალი „ხენდრო“; 10.35 ჩვენი ბაღი; 11.10 „სანტა–ბარბარა“; 12.15 თანამეგობრობა. თანასაზოგადოება. კავშირი; 12.45 გრაფომანი; 12.55 მუსიკალური კინოკომედია „ჯეკ ვოსმიორკინი – ამერიკელი“, III სერია; 14.10 თქვენი სოციალური ფენა; 14.40 რეტრო–შლაგერი; 14.55 უძრავი ქონების მაღაზია; 15.25 ჭეშმარიტების მომენტი; 15.50 წითელი წიგნი; 16.05 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები; 16.45 რუსეთის ოქროს რუკა; 17.10 არაფერი, გარდა... 17.25 ტელესერიალი „ხენდრო“; 18.15 ტამ–ტამ–ნოვოსტი; 18.25 ლუკომორიე; 18.45 შეხედე საკუთარ თავს; 19.05 საპარლამენტო ცნობარი; 19.35 რუსები; 20.00 „სანტა–ბარბარა“; 21.35 კინოკომედია „ჩემი ქმარი უცხოპლანეტელია“; 23.45 გენიოსი; 0.30 ვარსკვლავთა წვიმა კანის ფესტივალზე; 0.40 ბოჰემა; 1.20 ღამის ექსპრესი; 2.00 ღამის პროგრამა; 2.15, 2.35 ტელემაღაზია.

**НТВ** 7.00, 11.00, 13,00, 17.00, 20.00, 23.00 სევოდნია; 7.15, 8.15, 10.15 სპორტი; 7.25, 9.45 კრიმინალი; 7.35, 9.35 კარდანის ლილვი; 7.40 გრადუსნიკი; 7.45, 10.20 ისტორიული დღე; 7.50 ზღვარს მიღმა; 8.20 შოუ–ბიზნესის ახალი ამბები; 8.40, 10.45 მე – პირადი მცველი; 7.50 გაზეთების მიმოხილვა; 9.10, 10.25 ხარის საათი; 9.20 გამოსადეგი; 9.35 ფინანსები და ბიზნესი; 9.50 ცინცხალი გონებით; 10.35 რეტრო–ნოვოსტი; 10.50 კინოსიახლენი; 11.15 დილა; 11.30 „ქალბატონი ექიმი ქუინი“; 12.30 საბავშვო პროგრამა; 13.20, 17.20 ფული; 13.35 გამოსადეგი; 13.50 კომპიუტერი; 14.00 ღია სამყარო; 14.05 ბონტონი; 14.25 ასტროლოგის რჩევები მათთვის, ვინც გზაშია; 14.30 ღია ხაზი; 14.40 ტელეგაზეთი; 14.45, 1.45 ტელემაღაზია; 15.20 დიდი ვრემეჩკო; 16.05 „გაქნილი ჯოი“; 17.35 დისტანცია–60; 18.35 „ცისფერი ხე“; 19.30 საფეხბურთო კლუბი; 20.40 დღის გმირი; 21.05 კინოკომედია „პეტერბურგის პოლიციის მეძებარი“; 22.40 ალო, ფირმა! 23.45 „მაგარი უოკერი: მართლმსაჯულება ტეხასურად“; 0.40 ვრემეჩკო; 1.20 ღამის ვრემეჩკო; 1.55 მხატვრული ფილმი „კატრინ კ–ს თავგადასავალი“.


**კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!**

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი «მზიური» გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე



თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში

- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრესტიჟული სამსახურისაკენ

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37 („მზიურის“ ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან)

☎ 29–48–61, 23–53–17, 29–48–60 ფაქსი: 29–49–61

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება 2 ოთახიანი არასტანდარტული ბინა საბურთალოს ქუჩაზე. ჭერი 3 მ. ფასი 30000 დოლარი. ტელ. 38-01-11

ქირავდება 5 ოთახიანი ბინა ვაკეში. ავეჯით და ტელეფონით. თვეში 600 დოლარი. ტელ. 38-01-11

იყიდება ოთახნახევრიანი გარემონტებული ჩეხური ბინა მიცკევიჩის ქუჩაზე. მე-4 სართულზე. ავტოფარეხით და სარდაფით. საწყისი ფასი 18000 დოლარი. ტელ. 38-01-11

იყიდება 2 ოთახიანი კერძო ბინა 100 კვ.მ ბაღით. საბურთალოზე, სარდაფით, ავტოფარეხით და მარნით. ფასი 40000 დოლარი. ტელ. 38-01-11

იყიდება არასტანდარტული 7 ოთახიანი გარემონტებული ბინა საბურთალოზე ავტოფარეხით და სარდაფით. საერთო ფართი 200 კვ.მ. ფასი 120000 დოლარი. ტელ. 38-01-11

იყიდება 5 ოთახიანი გარემონტებული საუკეთესო ბინა ვაკეში. არაყიშვილის ქუჩაზე. საერთო ფართი 180 კვ.მ კაპიტალური გარაჟით და სარდაფით. ფასი 160000 დოლარი. ტელ. 38-01-11

იყიდება სოფ. უჯარმასთან (ტბასთან ახლოს) აგარაკი, 2 სართულიანი კაპიტალური სახლი 10X8, გარშემო დახურული აივნით, ავეჯით და სამშენებლო მასალით. 1000 კვ.მ ყველანაირი მსხმოიარე ხეხილით, დიდი ტალავერით, 7 ტონიანი ავზით. წყალი და შუქი მუდმივად. საწყისი ფასი 8000 ლარი. ტელ. 30-12-41; 30-23-18 მზია

იყიდება სასწრაფოდ 2 ოთახიანი, კარგად გარემონტებული ბინა ვაკეში, ტელეფონით, სარდაფით, რკინის კარებით, წყლის გამაცხელებლით, ჩაშენებული კარადებით, 8 სართულიანი სახლის მე-3 სართულზე. ფასი 27000$ ტელ. 23-58-15

იყიდება არასტანდარტული 4 ოთახიანი ბინა, საბურთალოს ცენტრში, საერთო ფართი 220 კვ.მ, რემონტით, დიდი სარდაფით, ავტოსადგომით, ტელეფონით. ტელ. 37-77-50

იყიდება ან იცვლება ვაკეში, თამარაშვილის ქ.№11 მე-10 სართულზე, 5 ოთახიანი ბინა, ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით. ფასი 60000 დოლარი. ტელ. 23-26-83

ვყიდი ბინას მოსკოვის პროსპექტზე. უნივერმაღ „მოსკოვის" თავზე, IV სართული, ერთოთახიანი, ხრუშჩოვის პროექტი. სუფთა ბინა, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39-82-73 იკითხეთ გივი ან ნანა (საღამოს საათებში)

იყიდება 2 სართულიანი საუკეთესოდ გარემონტებული კაპიტალური სახლი ლოტკინზე, ლაითურის ქუჩაზე 200 კვ.მ საცხოვრებელი ფართით, დამხმარე სათავსოებით. 400 კვ.მ კეთილმოწყობილი ხეხილიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 23-51-52

იყიდება 3 ოთახიანი კუთხის არასტანდარტული სარემონტო ბინა ვაკეში ჭავჭავაძის გამზირი №2-ში. მე-2 სართულზე, საერთო ფართი 85 კვ.მ, მუხის პარკეტით, შუშაბანდით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-58-92

იყიდება 3 ოთახიანი, გარემონტებული, ჩეხური პროექტის ბინა, ნუცუბიძის პლატოს IV მ/რ, მე-3 კორპ. მე-7 სართული. მუხის პარკეტით, რკინის კარებით და ორი აივნით, გარაჟით და ატმორით. ტელ. 37-67-83 (მამუკა, ეკა); 29-28-44 (ქეთი, მაია)

იყიდება საირმის ქუჩაზე (საბურთალო) დამტკიცებული მიწის ნაკვეთები. ტელ. 30-05-81 ლილი

იყიდება 1 ოთახიანი ბინა, დავით აღმაშენებლის გამზირზე, ფართი 26 კვ.მ, მაღალჭერიანი, ორი სარდაფით. ტელ. 78-83-75; 38-71-02

იყიდება ან ქირავდება უცხოელებზე ორსართულიანი კერძო სახლი ვაკეში, ქობულეთის ქუჩაზე 700 კვ.მ ეზოთი, ყველანაირი ხეხილით, ხეივნით, დეკორატიული ეზოთი, კაპიტალური აუზით. სახლის საცხოვრებელი ფართი 170 კვ.მ ბუხრით, მარნით, ყველა სათავსოთი. დაგვირეკეთ 29-22-76

იყიდება 3 ოთახიანი ბინა, ნუცუბიძის პლატო, II მ/რ, IV კვ. III კორპ. ბინა 66, მე-15 სართულზე ტელ. 31-74-53

იყიდება 3 ოთახიანი ბინა ორი წლის კოსმეტიკური რემონტით, არასტანდარტული. საერთო ფართი 100 კვ.მ, ჭერი 3.20, აბაზანაში და სამზარეულოში სანტექნიკა გამოცვლილია და კაფელშია. ფასი 47000 დოლარი. ტელ. 22-43-62. იკითხეთ მარინა და ლაშა

იყიდება საკუთარი სახლი 60 კვ.მ საცხოვრებელი ფართობით მცხეთაში, დახურული ლოჯიით და გარშემო დიდი ვერანდით, გარაჟით, დიდი სარდაფით, საკუთარი გათბობით, ტელეფონით, აბაზანით. მიწის ნაკვეთი 600 კვ.მ ტელ. 99-50-24

იყიდება აღმაშენებლის გამზირზე (კამოს ქუჩა) 3 ოთახიანი ბინა, 1 სართულიანი, იტალიურ ეზოში. საერთო ფართი 115 კვ.მ საცხ. ფართი 55 კვ.მ ყველა საკუთარი სათავსოთი. არის ეზოს გამოყოფის საშუალება. ტელეფონით, „ბაბილონის" გვერდზე. საწყისი ფასი 25000$ ტელ. 96-68-25

იყიდება 3 ოთახნახევრიანი (მოსკოვის პროექტი) უმაღლეს დონეზე გარემონტებული ბინა 9X5, დენი მუდმივადაა. ატმორით. საკაბელო ტელევიზიით. მეტრო „300 არაგველის" გვერდზე, შავი ზღვის ქუჩის სამხედრო „გოროდოკში", ფასი 35000$ ტელ. 74-12-63

იყიდება 2 ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი (3.20) ბინა ან იცვლება ერთოთახიანზე ამავე რაიონში. ფართი 70 კვ.მ, რკინის კარებით, სარდაფით, მანქანის სადგომით, ტელეფონით, საკაბელო ტელევიზიის ხაზით. ფასი 17000$ მისამართი: საირმის ქ.11, II სად. I სართ. (მაღალ ბელეტაჟზე) ბინა 24. ტელ. 38-22-20; 98-20-29

**ნატო ჯაფარიძეს!**

ნატო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ყოველივე ლამაზს და კარგს.
ნურასოდეს ნუ გაჩნდება შენი ცხოვრების ცაზე უსიამოვნების მომტანი პატარა ღრუბელიც კი.
კეთილი სურვილებით
თამუნა, ლალი, ნანა

## სხვადასხვა

სასწრაფოდ იყიდება როიალი „სტენვეი ენდ სენს", შავი, კაბინეტის, ანტიკვარული, იდეალურ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 15000$ ტელ. 38-47-19

იყიდება გერმანული პიანინო „როინიში" ფიგურულ ფეხებზე, კარგ მდგომარეობაში. ფასი 650 დოლარი. ტელ. 38-35-59

იყიდება გერმანული აკორდეონი „მაქსგრიმ-კინგენტჰა" 80 ბასიანი. ფასი შეთანხმებით. დაგვირეკეთ 29-22-76

იყიდება 2 საკერავი მანქანა „ზინგერი", ხელის და ფეხის. თითოს ფასი 70 ლარი. იყიდება თარგების გამოსაჭრელი მანქანა „ამერიკანკა" – უნგრული წარმოების. ფასი 200 ლარი. ტელ. 29-22-76

იყიდება გერმანული როიალი კარგ მდგომარეობაში. ფასი 1000 დოლარი. ტელ. 38-01-11

ვაკეთებ რემონტს, ავეჯის რესტავრაციას და ვაკრავ მასზე შალითებს. ტელ. 98-49-67 გივი

სასწრაფოდ შევისყიდი გერმანული ან ჩეხური წარმოების გიტარას შეღავათიან ფასებში. ტელ. 64-76-77 მაიკო

## ქირავდება

ვაქირავებ 2 ოთახიან ბინაში პატარა ოთახს. მეტრო „ვარკეთილთან" ახლოს, ცალკე ოთახში იქნება დიასახლისი. ჩართულია ბუნებრივი გაზი. მის. ვარკეთილის მასივი, მე-2 მიკრორაიონი, კორპუსი №8, მე-2 სადარბაზო, მე-7 სართული. ბინა 48. ტელ. 73-02-74 ნანული

ვაქირავებ საბურთალოზე საირმის ქ.№10, ოთახნახევრიან ბინას, ავეჯით, ტელეფონით, სარდაფით. ფასი 150 $ ტელ. 38-04-58; 61-83-55

## ვასწავლი

ვასწავლი ხელით ქარგვას შეღავათიან ფასებში. ბინაზე მისვლით. ტელ. 96-57-46

## ავტომანქანა

იყიდება ავტომანქანა „მოსკვიჩი-412", კარგ მდგომარეობაში. ფასი 400 ლარი. ძრავი ახალი შეკეთებულია. იყიდება ელექტროწისქვილი 200 ლარი. დაგვირეკეთ 29-22-76

იყიდება „მერსედესი – 190", 1983 წელს გამოშვებული, კარგ მდგომარეობაში. ფასი 4500 დოლარი. ტელ. 66-44-76 სოსო

ექსპრეს აუდიტ სერვისი EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

**ექსპრეს-აუდიტ სერვისი**

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები.
3. ქონების შეფასება.
4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89

**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს**

**დაგვირეკეთ ყოველდღე:**

**93-18-41**

# ჰოროსკოპი

## 14-17 მაისი

**ვერძი** – ბევრი საქმეები დაგიგროვდათ, რომელიც აუცილებლად უნდა შეასრულოთ, რადგან მისი შეუსრულების შემთხვევაში თქვენი პროფესიული წარმატება და წინსვლა გარანტირებული იქნება. გადაღლილმა კი მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ გაისეირნეთ.

**კურო** – აუცილებლად დათანხმდით ნებისმიერი სახის მოგზაურობაზე, ოჯახში შენაძენი გექნებათ. გამოიჩინეთ ინიციატივა საქმიანობაში, არ დათმოთ, ენდეთ ინტუიციას.

**ტყუპები** – მოგიწევთ მთელი დღე დამქანცველი საქმიანი მოლაპარაკებები და მუშაობა, გაიუმჯობესებთ მატერიალურ მდგომარეობას და შეიძენთ სასიამოვნო ნივთს.

**კიბო** – დაიოკეთ თქვენი აგრესიულობა, გაუფრთხილდით ახლობლებთან ურთიერთობის გაფუჭებას, დაანებეთ თავი ახალი რომანტიული თავგადასავლის ძებნას; ჯობს ოჯახს შემატოთ რამე.

**ლომი** – სასიამოვნო დღეები გელით, გაისეირნეთ ქალაქგარეთ, მიხედეთ აგარაკს ან ძველ, წინაპრების ალაგს.

**ქალწული** – მძიმე შრომის შემდეგ ბედნიერი და სასიხარულო დღეები გელით.

**სასწორი** – მოგზაურობაზე უარი არ თქვათ, მაგრამ არ იჩხუბოთ ზემდგომ პირებთან სამსახურში, ჯობს მოერიდოთ მათთან ურთიერთობას.

**ღრიანკალი** – მიხედეთ პირად ცხოვრებას, უცებ გადაწყდება ყველაფერი, ჩნდება ახალი პერსპექტივები. შეხვდით ძველ მეგობრებს და მცირე მოგზაურობაზეც ნუ იტყვით უარს.

**მშვილდოსანი** – ნუ იჩხუბებთ ახლობლებთან. ოჯახში შენაძენი გელით, მაგრამ მოერიდეთ რომანტიულ თავგადასავლებს.

**თხის რქა** – მოგზაურობა წარმატებას მოგიტანთ, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე მატერიალურადაც.

**თევზები** – ნუ დაიწყებთ კონფლიქტს სამსახურსა და სახლში, ეს კარგს არაფერს გიქადით. ასევე მოერიდეთ თქვენს უფროსს და მიხედეთ თქვენს ჯანმრთელობას.

# „თამარის დროშა გამალეს...“

მეექვსე გვერდიდან

ბრძოლველად ლაშქარი.

როცა მეფეთ-მეფე თამარი ვარძიას მივიდა, შევიდა მონასტერში, შევედრა ღმერთს, შემდეგ სამეფო დროშა გადასცა ჯარს და ლოცვა-ვედრებით დასძრა საბრძოლველად. ლაშქარს თან გააყოლა რუქნადინის ელჩი, რომელსაც ხელთ ჰქონდა თამარის შემდეგი შინაარსის წერილი: ჰეი, რუქნადინ! მე წავიკითხე შენი წერილი და შევიტყვე შენი სიცრუე და ღვთის გმობა. ამაყად დაგვიბარე და აი მოვედით, მაგრამ არა შენდა თაყვანსაცემად, არამედ დასასჯელად, რომ თვითონ შენ და არა მე, ჰკუა ისწავლო და ღმერთის გმობა არამც და არამც აღარ გაბედო. აი ახლა კარზე მოგადგა ჩემი ერთგული ლაშქარი და წერილის პასუხიც მოგიტანა.

თამარმა ყარსამდე მიაცილა მხედრიონი, შემდეგ ქართველთა ლაშქარმა, მხედართმთავრებმა დავით სოსლანის მთავარსარდლობით, ყველა წარჩინებულმა და ერისთავმა თაყვანი სცეს და ემთხვიენ წმინდა ჯვარს.

ქართველებმა გაიმარჯვეს. რუქნადინმა თავს გაქცევით უშველა. მეტოქის დიდი ალაფი, და კერძოდ, მისი დროშა ქართველებს ჩაუვარდათ ხელთ („შეიღეს დროშა რუქნადინისა“). ეს 1205 წელს მოხდა.

თამარმა ბასიანთან ომის შემდეგ მეგობრული ზავი დაამყარა დამასკოს სულთნებთან, რომლებიც მუდამჟამს ავიწროვებდნენ და ჰქჯნიდნენ წმინდა ადგილებში სალოცველად მიმავალ ქრისტიანებს. ამიერიდან მათ აეკრძალათ ქრისტიანთა დევნა-წვალება. ხოლო ქართველებს სრული უფლება მიეცათ ცხენზე ამხედრებულნი, თავიანთი დროშით, ყოველგვარი გადასახადის გარეშე, შესულიყვნენ იერუსალიმში. თამარისავე თხოვნით სულთანმა სალადინმა ქრისტიანებს დაუბრუნა ის ჯვარი, რომელზედაც მისჭვალული იყო იესო ქრისტე (თამარმა ამ ჯვარის დასახსნელად სულთანს 200 ათასი დინარი გადაუხადა).

იმის გამო, რომ ამ პერიოდში ბიზანტია დიდად იყო შევიწროებული თურქი დამპყრობლებისაგან, ამიტომ ბუნებრივია საქართველოს წინაშე დღის წესრიგში დადგა მოსალოდნელი საშიშროებისაგან შავი ზღვის სანაპიროს გამაგრების საკითხი. აი, ყოველივე ამან განაპირობა თამარის მიერ ახალი ქრისტიანული სამეფოს – ტრაპიზონის იმპერიის შექმნა (თამარის მიერ შექმნილმა ტრაპიზონის სამეფომ იარსება ორ საუკუნენახევარზე მეტხანს – მეთხუთმეტე საუკუნის სამოციან წლებამდე, ამ ტერიტორიის ოსმალთა საბოლოო დაპყრობამდე).

საქართველოს ასეთი დიდი პოლიტიკური და კონომიკური ძლიერების და საერთაშორისო სარბიელზე უდიდესი ავტორიტეტის მიუხედავად, შემდგომშიაც, განსაკუთრებით დავით სოსლანის გარდაცვალებისა (1207) და იმავე წელს ახალგაზრდა 12 წლის ჭაბუკი – ლაშა-გიორგის მეფედკურთხევის – თანამესაყდრედ (თანამმართველად) გამოცხადების შემდეგ, საქართველოს მტრები კვლავ აიშალნენ.

ერთ-ერთი პირველი, რომელმაც გაბედა და 1208 წელს საქართველოს სამფლობელოში შემოიჭრა, იყო არდაველის სულთანი (სპარსეთიდან). ეს ბარბაროსი შესია სომხეთს, აიღო ქანისი და სწორედ აღდგომა დღეს, როცა მთელი ქრისტიანული მოსახლეობა ეკლესიებში იყო მოსული ლოცვა-კურთხევად, ამოჟლიტა „ვითარ ცხოვარი“ 12 ათასი ქრისტიანი (სომხები და ქართველები) და უკუიქცა სპარსეთს.

როცა თამარმა ეს ამბავი თავის სასახლეში – გეგუთში (ქუთაისთან ახლო) შეიტყო, გაგზავნა ჯარი, რომელმაც სწორედ მუსლიმანური სჯულის – რამაზანის მარხვის დროს – დაიპყრო სასულთნო, დაარბია ქარდაველი და მეჩეთებში დახოცეს იმდენივე მაცხოვრებელი, რამდენიც მათ ქანისში („ათორმეტი ათასი კაცი რჩეული მიზგითთა შინა მოკლეს, ვითარ მათ ყუეს ანისისა ეკლესიათა შინა). ქართველებმა წამოასხეს მრავალი ტყვე (მათ შორის სულთნის ცოლ-შვილი), ხოლო გათავხედებული სულთანი სიკვდილით დასაჯეს.

27 წლის მეფობის შემდეგ, 41 წლისა, 1213 წელს გარდაიცვალა დიდი თამარი. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო – „სამეფო საქართველოისა და ქართველი ერი“.

გარდაიცვალა დედა ქართლისა თამარ და „ხმასა თანა ვაებასა ქუესკნელნიცა შეიძრნენ“. იგი დაასაფლავეს გელათს. თამარის წმინდათაწმინდა ნეშტი, მისი ანდერძის თანახმად, შვილმა ლაშა გიორგიმ იერუსალიმში გადაასვენა და გოლგოთაზე ქრისტეს საფლავის ეკლესიაში დაკრძალა.

ხალხური გენიის ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, „თამარი აქამდისაც არ მომკვდარა, იგი ახლაც ასვენია ოქროს კუბოში, სადღაც მთებში, მიყრუებულ გამოქვაბულში, საუკუნეობრივი ძილით შეპყრობილი, მაგრამ მოვა დრო, ის გაიღვიძებს, გააღებს თავის გამოქვაბულის კარს და მაშინ დადგება დღე საქართველოს ბედნიერებისა, დღე ქართველი ხალხის განახლებისა“.

**ვახტანგ გურგენიძე**

# პედაგოგთა ღირსების დაცვის საზოგადოება კვლავაც ბობოქრობს

პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციის ფორუმზე, რომელიც 13 მაისს შედგა, ითქვა, რომ საერთოდ არ არის ცნობილი, თუ ვისი თაოსნობით ტარდება რეფორმა განათლების სფეროში. რაც შეეხება იმ ღონისძიებებს, რომლებიც რეფორმის სახელით მიმდინარეობს, ჯერჯერობით დადებითი არაფერი მოუტანია. არც ის არის ვინმესთვის სიურპრიზი, რომ ცნობილი ტესტირების მოტივით ათასჯერ აალიტეს ფული პედაგოგებს – ეს წინასაატესტაციო ბლანკებიო, ეს კონსულტაციებიო და სხვა. ერთი, სამი, ხუთი ლარი. ბევრი იმასაც კი ამბობს, რომ რეფორმა სწორედ კიდევ ერთი სავაჭრო არეალის შექმნის მიზნით დაიწყოო.

ისინი გულმოსულად აცხადებენ იმას, რომ პედაგოგებს იმ ნაწარმოებების ცოდნას სთხოვენ, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირში არ გამოიცემოდა, ან იმ ბიბლიის ცოდნას აძალებენ, რომელიც მათთვის არავის უსწავლებია და აკრძალული ც კი იყო.

გარდა ამისა, წინასწარ გამოიცხა მასწავლებლების კონტინგენტი (შრომის, ინფორმატიკის, ხატვის და სხვა მსგავსი დისციპლინების), რომლებიც ატესტაციას არ გაივლიდნენ და ამით წინასწარი განზრახვით სკოლებში განხეთქილების ვაშლი ჩააგდეს.

მასწავლებლები ეჭვქვეშ არ აყენებენ იმ საკითხს, რომ რეფორმა საჭირო იყო, მაგრამ ასეთი ფორმით – არა. ისინი თვლიან, რომ შემდგომი უმოქმედობა დანაშაულია. და ამიტომ საჭიროა მიმართონ პროტესტის, მათი აზრით, უკიდურეს ფორმას – გაფიცვას. გაფიცვა დაიწყო. ერთი სიტყვით, პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაცია კვლავ ბობოქრობს, საინტერესოა, რას წააწერენ გაფიცულნი ლოზუნგს „არ გვინდა ატესტაცია“ თუ „არ წაგვიკითხავს ბიბლია“. ეს ყველაფერი უკვე ანეკდოტურ ხასიათს იღებს...

**პაატა მანძულაშვილი**

# სად წავიდა 92 მილიონი ლარი საქართველოს ბიუჯეტიდან

საპარლამენტო ფრაქცია „სახალხო“ მოითხოვს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა წარადგინოს ანგარიში 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. გუშინ ფრაქციის თავმჯდომარე მამუკა გიორგაძემ განაცხადა, რომ ამ ანგარიშის წარდგენის დაგვიანებით პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია. გიორგაძის თქმით, 1996 წლის ბიუჯეტიდან 92 მილიონი ლარი პარლამენტის დაუკითხავად დაიხარჯა და ამას გარკვევა სჭირდება. ამავე დროს, საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის ჯონი ხეცურიანის განცხადებით, ანგარიში უკვე მიეწოდა პარლამენტს, ედუარდ შევარდნაძის ანგარიში 1996 წლის ბიუჯეტის შესრულებაზე 27 მაისისთვის არის დანიშნული და არავითარ კონსტიტუციის დარღვევას აქ ადგილი არ აქვს. (ბი ჯი აი)

# ისტორიული ჯვარედი



ჰორიზონტალურად: 3. XVI-XVII სს. კახეთსა და ქვემო ქართლში ჩამოსახლებული მეჯოგე-მომთაბარე მოსახლეობა; 7. ადგილობრივი მმართველობის მოხელე ძველ საქართველოში; 8. ექვთიმე...; 11. ჭანური ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე. ერთ დროს იმპერიის დედაქალაქიც იყო; 14. წუქეთის საერისთავოს ცენტრი, იქვე მდებარეობდა საეპისკოპოსო კათედრალი. ამჟამად აზერბაიჯანშია; 17. ახლანდელი ბორჯომის რ–ის ტერიტორიის უძველესი სახელწოდება; 18. ისტორიული ოლქი ბალკანეთში, სპარტაკის სამშობლო; 19. ეგვიპტის პრეზიდენტი. ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი; 22. ჰეროდოტეს თხზულება; 23. სოფელი, საეპისკოპოსო ცენტრი კახეთში, სადაც დაკრძალულია წმინდა ნინო; 24. ამჟამად თურქეთში მყოფი ქართული პროვინცია, საქართველოსა და თურქ-სელჩუკებს შორის 1203 წ. გამართული ბრძოლის ადგილი; 28. XIX ს–ში მანჯურიელთა დინასტიის წინააღმდეგ აჯანყებულთა მიერ შექმნილი სახელმწიფო სამხრეთ ჩინეთში; 29. ფეოდალური საგვარეულო იმერეთში, ქართლში, კახეთსა და აჭარაში; 31. სომხეთის მიერ მიტაცებული პროვინცია ქვემო ქართლში; 32. ადრე მისი სპაც არსებობდა; 33. ჯაყელებისა და მხარგრძელების საგვარეულო სახელი; 36. ქართლის დიდი მეფე XVI-XVII სს; 40. ფაშისტთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი; 41. ვიეტნამის ძველი ჩინური (მისი გავლენით კი – ევროპულ ენებზეც) სახელწოდება; 42. მ.განდისა და ჯ.ნერუს თანამებრძოლი. ინდოეთის პრეზიდენტი 1952–62 წწ.; 45. ებრაელთა მამამთავარი, რომელმაც პირველმა აღიარა ერთღმერთობა და გადასახლდა აღთქმულ ქვეყანაში – ქანაანში; 46. სოფელი ახლანდელ ნინოწმინდის რ–ნში, სადაც X-XI სს. იყო ქართველ მეფეთა ერთ-ერთი სადგომი; 47. იგივე ვერტ. 4; 48. XV-XVI სს. ინგლისელი საზოგადო მოღვაწე. უტოპიური სოციალიზმის ფუძემდებელი; 50. ისტორიული პროვინცია მცირე აზიაში. წმინდა გიორგისა და წმინდა ნინოს სამშობლო; 53. ნორმანი ძველრუსულად. მათივე წყაროებით რუსეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება დაკავშირებულია ნოვგოროდში ამ ხალხის მიღწევასთან; 54. I მსოფლიო ომის მონაწილე ერთ-ერთი სამხედრო ბლოკი; 55. ისტორიული პროვინცია ინდოეთში. ამჟამად – ე.წ. მოკავშირე ტერიტორია.

ვერტიკალურად: 1. ქალაქი ირანში, სადაც მდებარეობს შაჰების საძვალე; 2. კახეთის ქორეპისკოპოსი XI ს–ში; 4. ერთ-ერთი ქართველური ტომის წარმომადგენელი; 5. ალექსანდრიის ეპისკოპოსი IV ს–ში. მართლმადიდებლური ეკლესიის უდიდესი მოღვაწე; 6. „... ქართლისა“; 9. ბერძნების მიერ დაარსებული ქალაქი დასავლეთ ჭანეთში. ახლანდელი ქსამსუნი თურქეთში; 10. XVII-XVIII სს. ფრანგი მოგზაური. აქვს ცნობები საქართველოს შესახებ; 12. სოკრატეს მოწაფე და არისტოტელეს მასწავლებელი ბერძენი ფილოსოფოსი; 13. ჩვ.წ.აღ.I ს–ში სომხეთის ქართველი მეფის-რადამისტის მეუღლე; 15. საქართველოს მეფე-პოეტი; 16. ქართლის მეფე პომპეუსის შემოსევის დროს; 20. აცტეკების უკანასკნელი მეფე; 21. რომის იმპერატორი ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე; 25. უძველესი მცირეაზიული სახელმწიფო; 26. კიდევ ერთი ძველი მცირეაზიული სახელმწიფო; 27. მაჰმადის უახლოესი თანამებრძოლი. შიიტების აზრით მუსლიმანთა პირველი (სუნიტებისვის – მეოთხე) იმამი; 30. ერთ-ერთი ასურელი მამა; 34. უძველესი გერმანული ანბანი. იხმარებოდა II ს–დან გვიანდელ შუა საუკუნეებამდე ევროპის მრავალ ქვეყანაში; 35. აეიცენას ნამდვილი სახელი; 36. ძვ.წ.აღ.IV-II სს. ნაქალაქარი ახლანდელი მცხეთის რ–ის ტერიტორიაზე; 37. ციხე-სიმაგრე აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ვასქენ პიტიახშს დამწყვდეული ჰყავდა თავისი მეუღლე შუშანიკი; 38. რუს თეთრგვარდიელთა ხელმძღვანელი. ადმირალი; 39. დიდი ბრიტანეთის ბოლოსწინა მეფე. ელისაბედ დედოფლის ბიძა; 43. ფაშისტური ორგანიზაცია ესპანეთში; 44. ბრიტანეთის კუნძულების უძველესი კელტური სახელწოდება; 49. ევროპელთა, ძირითადად ჰოლანდიელთა შთამომავალი სარ–ში, იგივე აფრიკანერი. ჩვენი საუკუნის დასაწყისში იბრძოდნენ ინგლისელთა წინააღმდეგ; 52. დავით გარეჯელის უახლოესი მოწაფე. მისი დაარსებულია დავით გარეჯას ერთ-ერთი მონასტერი; 52. რომაელების მიერ ფინიკიელებისათვის და შესაბამისად კართაგენელებისათვის შერქმეული სახელწოდება.

**მ.ფეიქრიშვილი**


მთავარი რედაქტორი

ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444